ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

ხუთშაბათი, 24 მაისი, 1990 წ.
№ 56 (11542)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბლ. ბიბლიოთეკა

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი



საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ აცხადებს:

I. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

II. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

III. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

IV. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

V. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

VI. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

VII. დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ქ. თბილისი. 26 მაისი 1918 წ.










## სრულიად საქართველო აღნიშნავს სახელმწი- -ფოებრიობის აღდგენის დღეს

## 26 მაისს

# 72 წლის წინათ ამ აქტით ქართველმა ერმა გამოხატა თავისი ნება—

# საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა

**საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“ („დას“-ი), საქართველოს მწვანეთა პარტიასთან და საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიულ ეროვნულ პარტიასთან ერთად მოამზადა საქართველოს სსრ კანონის პროექტი — „პოლიტიკური პარტიების შესახებ“: კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალურმა პარტიამ. მიგვაჩნია, რომ მრავალპარტიულობის დამკვიდრებისა და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელია ამ კანონის მიღება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ, მის უახლოეს სესიაზე. კანონპროექტი „დას“-მა საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეიტანა საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში.**

**ვთხოვთ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, წარმოებებსა და დაწესებულებებს, სპეციალისტებსა და მოქალაქეებს გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება წარმოდგენილი კანონის პროექტის მიმართ და თავისი მოსაზრებანი გაუგზავნონ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმსა (თბილისი, მთავრობის სახლი, საქ. სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი) და „დას“-ს (380008, თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19, საქართველოს პროფსაბჭო, ოთახი 111, „დას“-ი).**

# საქართველოს სსრ კანონი „პოლიტიკური პარტიების შესახებ“

## კარი I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** საქართველოში ხალხის ნების გამოხატვისა და დემოკრატიული წყობილების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას წარმოადგენს განსხვავებული პოლიტიკური პარტიების არსებობა და ფუნქციონირება.

**მუხლი 2.** 18 წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს პოლიტიკურ პარტიებად თავისუფალი გაერთიანებისა და მათს საქმიანობაში მონაწილეობის უფლება.

აკრძალულია ერთდროულად რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრობა და მართლმსაჯულების, არბიტრაჟის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოებში ან არმიაში მუშაობა ან სამსახური.

მოქალაქეთა ამ კატეგორიამ უნდა შეაჩერონ პოლიტიკურ პარტიაში თავიანთი წევრობა ან გავიდნენ პარტიიდან.

**მუხლი 3.** პოლიტიკური პარტია არის საერთო შეხედულებებითა და ინტერესებით გაერთიანებულ საქართველოს მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, თვითმმართველობის პრინციპზე დამყარებული ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანია სახელმწიფოში ხელისუფლების მშვიდობიანი გზით მოპოვება, მის განხორციელებაში მონაწილეობა, მასზე ზეგავლენის მოხდენა.

**მუხლი 4.** ყველა პოლიტიკური პარტია თანასწორია კანონის წინაშე, იქმნება და მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

## კარი II. პოლიტიკური პარტიის შექმნის წესი, მისი აკრძალვის პირობები და წესი.

**მუხლი 5.** პოლიტიკური პარტიის დამფუძნებელი კრება იღებს პოლიტიკური პარტიის წესდებას და საჯაროდ აცხადებს პარტიის შექმნას. წესდება უნდა გამოქვეყნდეს პრესაში პარტიის ცენტრალური ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით და უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს ამ პარტიის შესახებ:

ა) სახელწოდებას, საქმიანობის ტერიტორიულ ფარგლებს, შინაგან სტრუქტურას;

ბ) საქმიანობის ძირითად მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს;

გ) წევრობის პირობებსა და წესს;

დ) რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის წესს;

ე) სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საფუძვლებს.

**მუხლი 6.** წესდების გამოქვეყნების დღიდან პოლიტიკური პარტია კანონიერად შექმნილად ჩაითვლება და შეიძენს შემდეგ უფლებებს:

ა) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არჩევნებში;

ბ) წერილობითი, სიტყვიერი ან სხვა სახით შეუფერხებლად გაავრცელოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, პროპაგანდა გაუწიოს თავის საპროგრამო იდეებსა და მიზნებს;

გ) დააფუძნოს საკუთარი და დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით;

დ) მოაწყოს მიტინგები, დემონსტრაციები, კრებები და მასობრივი მანიფესტაციები;

ე) დაამყაროს ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა ქვეყნების პოლიტიკურ პარტიებთან და მოძრაობებთან;

ვ) სათანადო რეგისტრაციის შემდეგ სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით;

ზ) შეუფერხებლად მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებისაგან;

თ) განახორციელოს კანონით მინიჭებული სხვა უფლებები.

**მუხლი 7.** პოლიტიკური პარტიის წესდების გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს ყოველ მოქალაქეს, სახელმწიფო ორგანიზაციას, დაწესებულებას, საწარმოს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს ამ პარტიის აკრძალვა. ამისათვის მან სასარჩელო განცხადებით უნდა მიმართოს სახალხო სასამართლოს პოლიტიკური პარტიის ცენტრალური ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით ან საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

**მუხლი 8.** სასამართლო განიხილავს სასარჩელო განცხადებას სამოქალაქო-პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში.

**მუხლი 9.** სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პოლიტიკური პარტია ან დროებით შეაჩეროს მისი საქმიანობა, თუ:

ა) პარტია საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ არსებულ პოლიტიკურ პარტიას ექვემდებარება ან მის სტრუქტურულ ნაწილს შეადგენს;

ბ) პარტიული ორგანიზაციები შექმნილია სახელმწიფო ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების ორგანიზაციული სტრუქტურების ფარგლებში;

გ) პარტია მოუწოდებს ან ახორციელებს რესპუბლიკაში არსებული საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო წყობილების ძალადური გზით დამხობას;

დ) პარტია მოუწოდებს ან ახორციელებს საქართველოს სსრ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას;

ე) პარტია აღვივებს ეროვნულ ან რელიგიურ შუღლსა და მტრობას;

ვ) პარტია ეწევა ომის პროპაგანდას;

ზ) პარტია დაარღვევს წესდების გამოქვეყნების წესს.

**მუხლი 10.** მოსარჩელეს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

## კარი III. პოლიტიკური პარტიის, როგორც იურიდიული პირისა და როგორც საარჩევნო პარტიის რეგისტრაცია.

**მუხლი 11.** იურიდიული პირის სტატუსის მოპოვებისათვის პოლიტიკური პარტია რეგისტრირებული უნდა იყოს სახალხო სასამართლოში ამ პარტიის ცენტრალური ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით. ამისათვის საჭიროა სასამართლოს წარედგინოს პარტიის ხელმძღვანელი პირის განცხადება, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილება და იმ ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს სათანადოდ დამოწმებული ასლი, სადაც გამოქვეყნებულია ამ პარტიის წესდება. რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს განცხადების შეტანიდან 10 დღის განმავლობაში. უარი მოტივირებული უნდა იყოს.

**მუხლი 12.** პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის შემთხვევაში სასამართლო მას მისცემს ცნობას, რომელიც პარტიას უფლებას აძლევს იქონიოს თავისი ბეჭედი, ოფიციალური ბლანკები, გახსნას ანგარიში ბანკში და ისარგებლოს იურიდიული პირის სხვა უფლებებით.

**მუხლი 13.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების არჩევნებში მონაწილეობისათვის ყველა, სასამართლოში რეგისტრირებული და არარეგისტრირებული, პარტია წარუდგენს თავიანთ წესდებებს ამ არჩევნების ჩასატარებლად შექმნილ ხელმძღვანელ ორგანოებს.

პოლიტიკური პარტიების არჩევნებში მონაწილეობის წესსა და პირობებს განსაზღვრავენ შესაბამისი საარჩევნო კანონები.

## კარი IV. პოლიტიკური პარტიის საკუთრება და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საფუძვლები.

**მუხლი 14.** პოლიტიკური პარტიის საკუთრებას შეადგენს მისი წევრების შენატანი, მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიერ უანგაროდ შეტანილი სახსრები, აგრეთვე საგამომცემლო საქმიანობითა და პარტიის სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით მიღებული შემოსავალი.

**მუხლი 15.** პოლიტიკურ პარტიას მისი საქმიანობის განხორციელებისათვის შესაბამისი სახელმწიფო ორგანო უწევს სათანადო დახმარებას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

პოლიტიკური პარტიების არჩევნებში მონაწილეობისას მათი დაფინანსების წესს ადგენს საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

**მუხლი 16.** პოლიტიკური პარტიების სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო საფინანსო-საკონტროლო დაწესებულებანი.

პოლიტიკური პარტიები ყოველწლიურად, მაგრამ არა უგვიანეს ახალი წლის თებერვლის თვის პირველი ორშაბათისა, პარტიის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ან ყოველდღიურ რესპუბლიკურ გაზეთში აქვეყნებენ ანგარიშს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი ფორმით და წარუდგენენ საფინანსო დაწესებულებას დეკლარაციას თავიანთი წლიური ფინანსური საქმიანობის, ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის შესახებ.



# პირველი ჯვრისწერა

ერთი წლის წინ, 9 აპრილს ყველაზე პატარა მსხვერპლი ნათია ბაშალეიშვილი წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიის ეზოში, ვერის სასაფლაოზე მიაბარეს მიწას. ალბათ სწორედ მაშინ გაჩნდა აზრი ამ ეკლესიის ამოქმედების შესახებ... და აი, ახლახანს, ხარების დღესასწაულზე პირველად გაიმართა წირვა-ლოცვა წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიაში. გასულ შაბათს კი ამ გუმბათქვეშ პირველი ჯვრისწერა აღსრულდა. ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა ელისე ჯოხაძემ საქორწინო გვირგვინი დაადგა თავს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ნატო მოისწრაფიშვილს და გია ჯოხარიძეს.



ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები.

## მიმართვა

**საქართველოს** რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფედერალური პრინციპების საკითხთა განსახილველად უახლოეს მომავალში აწყობს სპეციალურ კონფერენციას.

საკონფერენციო საკითხთა შესამუშავებლად და საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფედერალური პრინციპების შესახებ პოზიციათა წინასწარი ურთიერთგაცნობის მიზნით წინასაკონფერენციო შეხვედრაზე ვიწვევთ:

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას, საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას, საქართველოს მიწათმოქმედთა პარტიას და ამ საკითხებით დაინტერესებულ სხვა ორგანიზაციებსა და კერძო პირებს საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის შტაბ-ბინაში (აკაკი წერეთლის პროსპექტი 67-ა, ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოს შენობაში, ტელ: (34-35-47).

**რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სპეციალური კომისია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქციება, რომლებიც „ფრიადზე“ ფასდება

**თავის** დროზე საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე რიგ პასუხისმგებელ პირთა მიმართ, რომელთა მავნებლური ჩანაფიქრი ძმათა სისხლისღვრასა და მასობრივ არეულობას უქადდა რესპუბლიკის დასავლეთის რაიონებს და შესაძლოა მთელ რესპუბლიკასაც. საქმის აღძვრას საფუძვლად უნდა დასდებოდა ის ფაქტი, რომ ცენტრალური აპარატის ზემდგომ ორგანოებში მოკალათებულ ერის „მზრუნველ ზედამხედველთა“ ჩაგონებითა და აჭარის საოლქო კომიტეტში შერჩეულ „სანდო პარტიულ ამხანაგთა“ ინიციატივით ჩამოყალიბდა ტერორისტულად განწყობილ ავაზაკთა ბრბო, რომლის მიზანს მშვიდობიანი მიტინგის დარბევა და მის ინიციატორთა მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება შეადგენდა. ასე რომ, თავისუფლებისათვის დაწყებულ ბრძოლაში ჩვენი ერის კონსოლიდაცია თავიდანვე არასასურველი აღმოჩნდა იმპერიის „ძმური ლენინური კავშირით“ უზრუნველყოფილ ერის მოღალატეთათვის და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიღების მეორმოცე წლისთავს, 1988 წლის 10 დეკემბერს უპრეცედენტო ველურობის გამომხატველი აქციით შეეგება „გარდაქმნის წახნაგებით“ აღშფოთებული ადგილობრივი ხელისუფლების რიგი წარმომადგენელი აჭარაში.

თუ საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის ნაწილი და პირველი მდივანი ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მიმართული პირადი მტრობით შემოიფარგლა და მისი მიზანი ბათუმსა და ჩაქვში ჩატარებულ ვანდალურ აქციაში „დაშინებითი“ ხასიათის მატარებელი იყო, სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა „მოძმე რესპუბლიკებში“ საკუთარი იმპერიული ინტერესებისათვის ძმათა შორის შუღლის ჩამოგდების ცნობილი ფანდების ინიციატორთ მოსკოვში.

საქმე ისაა, რომ დიდი ხანია თურქეთის ხელისუფლებას აღიზიანებს თურქეთში მაცხოვრებელი ქართული ორიენტაციის მრავალმილიონიანი „გურჯების“ პატრიოტული სულისკვეთება, რაც ამ ბოლო დროს კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ. არც ველიკორუსი შოვინიზმი დარჩენილა გულგრილი ამ მოვლენების მიმართ და ბუნებრივია გააძლიერა თავისი აგრესიული პოლიტიკა რეგიონში. ცენტრის ჩანაფიქრით, ისლამის „აჭარული ვარიანტი“ ყველაზე საიმედო დასაყრდენი იყო „ფერგანას“ მოსაწყობად საქართველოში. მსგავსი აქციის სრული წარმატების შემთხვევაში, ოსტატურად შენიღბული სამხედრო აპარატი აჭარის მკვიდრ მოსახლეობას თავზარს დასცემდა: — „კბილებამდე შეიარაღებული ქართველობა თქვენს ასაკლებად მოდის და არიქა თავს უშველეთო“. აქ კი შესაძლოა სარფის კარები გახსნილიყო და „ქრისტიანთაგან დევნილი ლტოლვილნი“ მეზობელ სახელმწიფოში აღმოჩნდებოდნენ...

განგებამ და ხალხის გონიერებამ არაერთხელ გვიხსნა ამ უბედურებისაგან.

მიუხედავად ერთგვარი „წარუმატებლობისა“, მსგავსი აქციები მავანთა მიერ მაინც „ფრიადზე“ შეფასდა. შედეგი მართლაც განსაცვიფრებელი გამოდგა: ისედაც საეჭვო ორიენტაციის მქონე ადგილობრივი ხელისუფლების რიგი წარმომადგენელი, პოლიტიკურ ცხოვრებაში, ერთი შეხედვით, „ჩრდილში მყოფი“ ე. წ. „პარტიული ხოჯები“ ხშირ შემთხვევაში თვით საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებასაც აღარ ემორჩილება. სწორედ საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების უუნარობამ გამოიწვია თავის დროზე ის, რომ ხელვაჩაურის რაიონში ბუდე დაიდო „ისლამის აღორძინების“ ბაზაზე შექმნილმა ე. წ. „აჭარის ხსნის კომიტეტმა“ და საკმაო პოპულარობა მოიპოვა გარკვეულ წრეებში. დემოკრატიისა და საჯაროობის იარაღით შეჯავშნული მრავალი „პარტიული ამხანაგი“ დღესაც სიზმარში გაუგონარი მკრეხელობით არწმუნებს აჭარის მოსახლეობას ეროვნული მოძრაობის „უწმინდური აზრების“ არამართლიანობაში და იარაღით ხელში დაგვსდევს „ექსტრემისტებს“.

ერთი ასეთი ჯგუფი, რომელიც „იძულებული გახდა“ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად შეექმნა თავდაცვის კომიტეტი შეიარაღებული რაზმებით, ა/წ 21 მარტს მიადგა ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ერგეს სასოფლო საბჭოს და მუქარით აიძულა მოსახლეობის ნაწილი ხელი მოეწერათ მათ მიერ წინასწარ შედგენილ მოთხოვნათა პროვოკაციულ ტექსტზე.

ამ ტექსტის დედანი, რომელიც საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისადმია მიმართული და ულტიმატუმის „შესანიშნავ“ ნიმუშს წარმოადგენს, ჩვენს ხელთაა, სადაც კერძოდ ნათქვამია, რომ „ჩვენ ვიცავთ ლენინის ძეგლს. ვინც ხელყოფს მას, იძულებული ვართ იარაღით გავრეკოთ ან მოვკლათ ადგილზევე (!). გთხოვთ წესრიგი დაამყაროთ: დაგვიცავთ ჩვენც და ლენინის ძეგლიც. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვართ შევქმნათ თავდაცვის კომიტეტი შეიარაღებული რაზმებით საბჭოთა ხელისუფლების დასაცავათ“. კომენტარი ზედმეტია. წააწყდნენ რა წინააღმდეგობას რ-ნის მაცხოვრებელთა მხრიდან, „ხსნის კომიტეტის“ ერთ-ერთმა აქტივისტმა ვაშალომიძემ ცეცხლსასროლი იარაღით მუცლის არეში მძიმედ დაჭრა ხელვაჩაურის რ-ნის მკვიდრი. მილიციის მაიორი ა. თევდორაძე, რომელიც სხვებთან ერთად წინ აღუდგა მათ ანტიეროვნულ მოთხოვნებს. ა/წ 12 აპრილის იმავე ჯგუფის მიერ პროვოცირებულმა მასამ „საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დარაჯის“, პოტენციური მკვლელის ვაშალომიძისთვის სასჯელის აცილების მიზნით მანიფესტაცია გამართა აჭარის საოლქო კომიტეტის შენობის წინ. მათვე ჩამოყარეს მერაბ კოსტავას სახელობის ქუჩაზე გაკრული აზრები.

იგივე განმეორდა 10 მაისს, როცა პათოლოგიურად აგრესიულმა ჯგუფმა ისევ მოიყარა თავი აჭარის საოლქო კომიტეტის წინ და წამოაყენა მოთხოვნები, რითაც ზოგიერთ საკითხში გაუსწრეს კიდეც აფხაზ სეპარატისტებს. ამ ჯგუფის საქმიანობა კარგა ხანია აღშფოთებას იწვევს აჭარის მკვიდრ მოსახლეობაში და ამის დასტურია თუ გნებავთ ისიც, რომ იმავე დღეს ადგილობრივი ძალებით გაიმართა საპასუხო საპროტესტო მიტინგი, სადაც მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუცია. რეზოლუციაში კერძოდ ნათქვამი იყო, რომ ამ ანტიეროვნული ორიენტაციის მქონე ჯგუფის საქმიანობას მისცემოდა პოლიტიკურ-იურიდიული შეფასება.

რესპუბლიკაში და კერძოდ ჯავახეთში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ ბიძგი მისცა ფარულ ღალატს მიჩვეულ თესლ-ტომს, გვერდით ამოსდგომოდა ამ სეპარატისტულად განწყობილ ჯგუფს და მკვიდრი მოსახლეობის სახელით პროვოკაციულ პროპაგანდას მიჰყო ხელი. ზემო აჭარის მეწყერსაშიში ზონიდან მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ე. წ. „აჭარის ხსნის კომიტეტისეული“ ვარიანტის შემუშავებაში „ფასდაუდებელი წვლილი“ შეაქვს ბათუმის ქიმიური ქარხნის მათეთრას უბნის ბრიგადირის პეტროსა ვართანიანისთანა „ჭირისუფლებს“, რომლის მიხედვით აჭარა უნდა „განიტვირთოს“ გურულ-მეგრულ-იმერულ და სხვა „უცხო ქართველური“ ტომებისაგან და მათი აზრით აჭარის რეგიონის საჭირბოროტო პრობლემაც მოგვარებულად შეიძლება ჩაითვალოს...

ასეთი „ინციდენტების“ გამოძიება და ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობა ნათელ, მამხილებელ ტომებად აიკინძებოდა და მის მომწყობ ინიციატორთა მიმართ წაყენებული ბრალდებაც სათანადო ხასიათს მიიღებდა. რადგან ეს ოფიციალური ხელისუფლებისაგან „მოუხერხებელი“ დარჩა, ისღა დაგვრჩენია მისგან გამომდინარე მეტად არასახარბიელო შედეგებს ველოდოთ.

**ნოდარ იმნაძე.**
**14. 05. 90 წ.**

# ეროვნული ფორუმისა და საკოორდინაციო ცენტრის განცხადება

ა. წ. 22 მაისს „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა ე. წ. მრგვალი მაგიდის განცხადება, რომელიც ეროვნული ფორუმის საწინააღმდეგო მორიგ პასკვილად შეიძლება აღიქვას მკითხველმა.

„მაგიდა“ აცხადებს, რომ ფორუმის „გადაწყვეტილება ყრილობის მოწვევის შესახებ უნდა ჩაითვალოს თვითნებურად და არამართლზომიერად“ რადგანაც „მრგვალი მაგიდა ე. წ. ეროვნულ ფორუმს მიიჩნევს დაშლილად...“ რატომ? რა მოტივით მიაჩნია „მრგვალ მაგიდას“ ფორუმი დაშლილად და ეროვნული ყრილობის მოწვევა თვითნებურად და არამართლზომიერად? ფორუმი მის წევრთა ნახევარმა უკვე დატოვა და ორი მესამედით არ არის გადაწყვეტილება ყრილობის მოწვევის შესახებ მიღებულიო, აცხადებს „მაგიდა“. ჯერ ერთი ფორუმი მისი შემადგენლობის ნახევარმა კი არა, მცირე ნაწილმა დატოვა. მეორეც, „ორ მესამედში“ უკვე არსებულის ორი მესამედი იგულისხმება და არა ფორუმიდან გასულებიც, რადგან ფორუმიდან გასული აღარ არის ფორუმის წევრი და წესდების მუხლები მასზე არ ვრცელდება. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ეროვნულ ყრილობას იწვევს არამარტო ეროვნული ფორუმი, არამედ საკოორდინაციო ცენტრიც, რომელიც ორმოცზე მეტ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ფაქტიურად, მთელ ეროვნულ მოძრაობას აერთიანებს.

„მრგვალი მაგიდა“ ადანაშაულებს ეროვნულ ფორუმს, რომ მან თურმე „როდიონოვი, ნიკოლსკი და პატიაშვილიც“ მოიწვია ყრილობაზე(?). ეს სიცრუეა, არცერთი მათგანი არ მოგვიწვევია ყრილობაზე. ეროვნულ ყრილობაზე ჩვენ მოვიწვიეთ ე. წ. საკავშირო და რესპუბლიკური უმაღლესი საბჭოების ქართველი დეპუტატები და ესეც არა იმიტომ, რომ შეურიგებელი ოპოზიცია და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ერთ აზრზე დგანან, უბრალოდ, რადგანაც ეს არის ეროვნული ყრილობა, საჭიროა ყრილობამ მოისმინოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატების აზრიც. ან რატომ „უკვირთ“ „ჰეირათისა“ და „აიდგილარას“ ეროვნულ ყრილობაზე მოწვევა? განა არ გვირჩევნია, რომ კონფლიქტები სისხლისღვრით კი არა, დიალოგით გადაწყდეს? მაშ რა მიზნით მიიღო ზვიად გამსახურდიამ კოლხურ კოშკში „აიდგილარას“ დეპუტაცია? ეროვნული ფორუმი „აიდგილარას“ კი არ ეთანხმება, არამედ გვინდა თუ არ გვინდა, „აიდგილარა“ არის რეალური ძალა აფხაზეთში და მას ანგარიში უნდა გაეწიოს: ქართულ მოსახლეობას „აიდგილარასგან“ საფრთხე არ უნდა ემუქრებოდეს, აი ეს უნდა ფორუმს!

„მრგვალ მაგიდას“ მკითხველის შეცდომაში შეყვანა აქვს განზრახული და აცხადებს, ფორუმი მწერალთა კავშირში მოვიწვიეთ და არ გამოცხადდაო.

უნდა განვაცხადოთ, რომ დიალოგი შეიძლება შედგეს მხოლოდ მაშინ, როცა საწინააღმდეგო მხარეს იარლიყებს არ აკერებ, შეურაცხყოფას არ აყენებ და მართლა მთელი გულით გსურს დიალოგი.

და ბოლოს, დროა რომ „მრგვალმა მაგიდამ“ ხელი აიღოს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის განხორციელებაზე, რაც გამოიხატება, „მაგიდის“ მცდელობაში, „ეროვნული მოძრაობის სახელით“ ჩაშალოს ეროვნული კონგრესის არჩევნები.

22 მაისი 1990 წელი.

**ეროვნული ფორუმი და საკოორდინაციო ცენტრი.**

# მეტი წინდახედულება გვმართებს!

ა. წ. 19 მაისს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა წერილი „პატივცემულო რედაქცია“, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო კვლევითი პრობლემური ლაბორატორიის თანამშრომლების 24-კაციანი ჯგუფი. კატეგორიულად უნდა ითქვას, წერილი არის პროვოკაცია. ეს წერილი არის მოწოდება ეროვნული მოძრაობის გასათიშად. წერილის ავტორებს მიზნად დაუსახავთ ბატონ ზვიად გამსახურდიას „დაცვა“. ვისგან? რისგან? „ტერორისტებისაგან“, „ბანდიტებისაგან“, „კორუმპირებული მაფიისაგან“ და ა. შ., როგორც წერილის ავტორები ბრძანებენ ეროვნულ ფორუმში ბატონ ზვიად გამსახურდიას დარჩენა ნიშნავდა „ტერორისტების“ გვერდით დადგომას. ჩვენი აზრით, არავის არა აქვს უფლება საქართველოს ეროვნული მოძრაობა გააიგივოს ბატონ ზვიად გამსახურდიასთან. როგორ შეიძლება ეროვნულ მოძრაობაზე ვილაპარაკოთ და იქვე არ აღვნიშნოთ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის... დამსახურება თავისუფლებისათვის ბრძოლაში. თქვენს წერილში ყველაფერი ისეა წარმოჩენილი, როდესაც მიმართავთ მთელს საქართველოს თხოვნით ყველა საღად მოაზროვნეს „გვერდში ამოუდგნენ ეროვნული მოძრაობის ჯანსაღ ნაწილს, მის თავკაცს ბატონ ზვიად გამსახურდიას“, როგორც წერილიდან ჩანს, არაჯანსაღი ნაწილი ყოფილა ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, გიორგი ჭანტურია...

რუსთაველზე ჩადენილი ინციდენტის გამო შექმნილი საქმის გამომძიებელი კომისია, რომელიც ფორუმმა შექმნა (ამ დროს ფორუმიდან არ იყო არც ერთი პარტია გასული). წერილის ავტორები ამტკიცებენ, რომ „ძალზე წააგავს 9 აპრილის ამბების გამო შექმნილ კომისიას, რაც კიდევ უფრო ადასტურებს მის მონაწილეობას ამ საბედისწერო ქმედებაში“. ვის მონაწილეობას? ეროვნული ფორუმის. რა არის ეს, თუ არა დემაგოგია, ქართველი ხალხის თვალში ნაცრის შეყრა. ამ შემთხვევაში „ბედი“, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში არ ვცხოვრობთ, თორემ ოცდაოთხივე ხელის მომწერი ცილისწამებისათვის პასუხს აგებდა სისხლის სამართლით.

რამ გაიძულათ, მეგობრებო, ასეთი წერილი რომ დაგეწერათ. თანაც რედაქციაში წერილი არ იყო მისული, თქვენ კი მოითხოვთ მის დაბეჭდვას. დროა, თუ ეროვნულ მოძრაობაში ვართ ჩართული მივაგოთ ერთმანეთს საჭირო პატივი და მოვეშვათ ცილისმწამებლურ ბრალდებებს საქართველოს ეროვნული ფორუმის მიმართ. და ბოლოს, თუ „ეროვნული მოძრაობის ჯანსაღმა ნაწილმა“ ფორუმი დატოვეს რუსთაველზე მომხდარი „ტეტორისტული“ აქტის შემდეგ ეროვნული მოძრაობის „ჯანსაღ ნაწილს“ „ფორუმის შენობის“ გარეთ „მრგვალ მაგიდაზე“ უნდა გაეგრძელებინათ იმ იდეების განხორციელება, რასაც ეროვნული ფორუმი ითვალისწინებდა, მაგრამ მოხდა სრულიად სხვანაირად.

ჩვენი აზრით, მრგვალი მაგიდის წევრ პარტიებს არ „აწყობდათ“ ფორუმში დარჩენა. გასროლა რომ არ მომხდარიყო, ისინი სხვა მიზეზს მოძებნიდნენ ფორუმიდან გასასვლელად, რადგან „მრგვალი მაგიდის“ კონცეფცია, ძირითადად, ეწინააღმდეგება ეროვნული ფორუმის კონცეფციას: ეროვნული ყრილობის მოწვევას და დემოკრატიული ფარული კენჭისყრით კონგრესის არჩევის იდეას. ქართველ ერს დღეს მაგიდაზე უდევს ეროვნული მოძრაობის განვითარების ორი კონცეფცია. 1. საქართველოს ეროვნული ფორუმისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის განცხადება. 2. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის კონცეფცია. ისინი ძირითადში განსხვავებულია. ესაა ძირითადი მიზეზი მათ მიერ ფორუმის დატოვების.

ეროვნულ მოძრაობაში მოხდა არა პიროვნული განხეთქილება, არამედ კონფლიქტი ორ პოლიტიკურ კონცეფციას შორის. ამ კონფლიქტში ჩასარევად საჭიროა დიდი პოლიტიკური კომპეტენტურობა, რისგანაც წერილის ავტორები ძალზე შორს არიან, ასეთ პირობებში მათ მიერ ბატონ ზვიად გამსახურდიას ცალმხრივად დაცვა საზოგადოების დეზინფორმაციაა და ძალზე წააგავს „მასების აზრის“ პოლიტიკურ და იურიდიულ არგუმენტებად გამოყენების ცდას.

ჩვენ ვურჩევთ, ლაბორატორიის თანამშრომლებს როდესაც პოლიტიკაში ზერელედ არიან გარკვეული, მართლა ნუ ასხამენ მტრის წისქვილზე წყალს.

**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.**

**(სულ 38 ხელმოწერა).**

## ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

# ერთი ომის დოკუმენტური ქრონიკა

## ანუ

# რა მოხდა 1918 წლის დეკემბერში

[illegible]

ნიხილა მთავრობის მოხსენება შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მიიღო რეზოლუცია: „მოისმინა რა მთავრობის მოხსენება სამხედრო მოქმედების შესახებ საქართველო-სომხეთს შორის პარლამენტი აღიარებს:

1) რომ საქართველოს მთავრობას არავითარი საბაბი არ მიუცია სომხეთის მთავრობისადმი მტრული განწყობილებისა; რომ მან მიიღო ყველა ზომა მოძმე სახელმწიფოს შორის საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტისა;

2) რომ სომხეთის ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და თავს დაესხა საქართველოს სასაზღვრო სადარაჯოებს, მრავალი ჯარისკაცი დახოცა და დაჭრა;

პარლამენტი იწონებს მთავრობის მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს, რომელიც მიმართულია მტერთა ასალაგმავად, აღუთქვამს მთავრობას უოველს დახმარებას რესპუბლიკის დასაცველად და აცხადებს, რომ რესპუბლიკის ძალები მიმართულია არა სომეხი ხალხის წინააღმდეგ, არამედ სომეხთა მთავრობის იმ წრეებისადმი, რომელთა პოლიტიკას მიზნად აქვს ხიდი ჩატეხოს საუკუნეობით მეგობრულ ერთა შორის და როგორც ქართველ ერს, ისე სომეხ ერს დალუპვას უქადის. მიღებულია ერთხმად".

სამხედრო მინისტრ გ. გიორგაძის მიმართვიდან ქართველი ხალხისადმი: „საქართველოს რესპუბლიკის არწივებო! შემოკრბით თქვენი მთავრობის გარშემო და დაანახვეთ მუხანათ მტერს, რომ თქვენს ჰვანგებს შეუძლიათ დღეს თქვენი სამშობლოსა და თავისუფლების მტერთა დაფლეთა!.

აინთეთ ცეცხლით გული, განიმსჭვალეთ ერთის ფიქრით და ერთის გრძნობით, მედგრად, ელვის სისწრაფით ეკვეთეთ თქვენი თავისუფლების მტერს ქართველურად, მამაცურად, ისე როგორც შეშვენით ჭეშმარიტ მამულიშვილებს... ჩვენ გვწამს, რომ თქვენს შორის მრავალი გმირია. თქვენი შეგნება, თქვენი სინდისი და გული გეტყვით თქვენ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ დღეს. გაითვალისწინეთ ის მონობა და საშინელი დამცირება, რომლითაც გვემუქრება ავაზაკი მტერი.

მოიგონეთ თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეწირულ წინაპართა წმინდა საფლავები და თქვენ თვითონ დაინახავთ რა არის დღეს ღვთიური თქვენი მოვალეობა.

მოქალაქენო! სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია. დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ არავითარ მტერს თქვენი დამარცხება არ შეუძლია!

დღეს გამოჩნდება, რამდენად გიყვართ სამშობლო, თავისუფლება და წინაპართა მიწა!

გამარჯვება, დიდება და უკვდავი სახელი სამშობლოსათვის შეუპოვარ მებრძოლებს!"

19 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს თბილისში ჯამალიანს გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამი იყო: „სომხეთის ჯარების ვერაგული თავდასხმის გამო საქართველო წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას სომხეთთან".

იმავე დღეს ბორჩალოს მაზრის მოსახლეობა აცხადებს: „სომხე-

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 55).

[illegible]

ლმძღვანელი — გვატყობინებს, ბრძოლამ 16 საათამდე გასტანა. პოზიციები ხან ერთ ხელში გადადიოდა, ხან მეორეში ბოლოს ჩვენებმა მოწინააღმდეგე უკუაქციეს, მათ დაედევნენ და საზღვრამდის მიაცილეს. ამ სახელოვან ბრძოლაში თავი იჩინეს პოდპოლკოვნიკ ხერხეულიძის და კაპიტან კანდელაკის ჯარებმა, ეს იყო ახალქალაქის ფრონტზე.

სანაინის მიდამოებში კი 17 დეკემბერს მტერმა ისარგებლა შელამებით, ნისლით და დაეშვა მთებიდან, დაიწყო სროლა ჩვენი ჯარის პოზიციებზე. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა გენერალი წულუკიძე. იგი გვატყობინებს, რომ მძიმე ბრძოლების შემდეგ მტერი ცოტა ხნით შევაჩერეთ, მაგრამ შემდეგ მან ისევ მოიკრიბა ძალები და განახლდა შეტევა. ოპერაციის დამუშავების შემდეგ ჩვენ მოვახერხეთ მოწინააღმდეგე ჯარისათვის ალყის შემორტყმა. ტყვედ ბევრი წამოვიყვანეთ, დანარჩენები კი მთებში გაიქცნენ... ასე ამრიგად სანაინის ბრძოლაც გათავდა ჩვენს სასარგებლოდ.

შემდეგი ბრძოლა მოხდა ვორონცოვკის ფრონტზე. 19 დეკემბრის ბრძოლების შემდეგ — გვატყობინებენ იქაური ბრძოლების ხელმძღვანელები გენერალი ახმეტელაშვილი და ვალიკო ჯუღელი — აქ დაწყებულა მძაფრი შეტაკება. სახალხო გვარდიას, რომელსაც წინ ხელმძღვანელები მიუძღოდნენ, ძალიან გამოუჩენიათ თავი. თუმცა ისინი სტრატეგიულად ცუდ პირობებში იყვნენ, მტერი მაინც დაუმარცხებიათ და ბოლო ცნობის მიხედვით, საზღვრამდე მისდევენ. უკვე ტყვედ წამოვიყვანეთ 60 ჯარისკაცი, 2 ოფიცერი, 1 ტყვიამფრქვეველი და ერთიც ტელეფონის აპარატი.

აი, ასეთი მდგომარეობაა დღეისათვის. ჩვენი ვალია, მთელი ხალხის ვალია ჯეროვნად ავღნიშნოთ იმ გმირების ხსოვნა, რომლებმაც თავი შესწირეს მამულის დაცვას, აგრეთვე უნდა მივიღოთ ზომები, რათა დაღუპულთა ოჯახები უზრუნველყოფილნი იყვნენ დახმარებით".

საქართველოს ჯარის მთავარი სამხედრო შტაბის ცნობა:

„ბრძოლა ახალქალაქის მაზრაში.

20 დეკემბერს, დაახლოებით დილის 7 საათზე მტერმა ზარბაზნებიდან დაგვიშინა და ჩვენს პოზიციას შეუტია. ბრძოლამ 12 საათს გასტანა და მტრის დამარცხებით დამთავრდა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 3 ოფიცერი და 100-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი. ტყვედ წამოვიყვანეთ 1 აფიცერი, 50 ჯარისკაცი, ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიასმფრქვევი, მრავალი თოფი და ტყვია.

ეკატერინოფელდთან:

19 დეკემბერს აქ მოკლულია სომხების 6 ოფიცერი და 230 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 300 თოფი, 1 ტყვიამფრქვევი, 1 ტელეფონი.

სახალხო გვარდიას მოუკლეს 30 კაცი".

20 დეკემბერს საქართველოს საგანგებო რაზმმა (დღევანდელი გაგებით — უშიშროების ძალები — ს. ქ.) გაჩხრიკა ბინა რუსთაველის პროსპექტსა და ბარიატინსკის ქუჩის კუთხეში, სადაც სომხები თავს იყრიდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, აპირებდნენ სომეხთა მოხალისე ჯარის შედგენას. კრებაში მონაწილეობას იღებდნენ (ის სომეხი მილიციელებიც, რომლებიც წინადღეებში მილიციიდან იქნენ განთავისუფლებულნი, როგორც არასაიმედო პიროვნებანი. 100-ზე მეტი კაცი დაპატიმრებულ იქნა.

22 დეკემბერს განმეორდა მსგავსი შემთხვევა, ამის გამო მთავრობა აცხადებს: „ჩვენი ორგანოების მიერ შემჩნეულ იქნა, რომ თბილისის სომხები ყველგან საიდუმლო მობილიზაციას ახდენენ და ჯარში გასაწვევ სომეხ ახალგაზრდობას ფარულად აგზავნიან სომხეთში. მათი შეკრება ხდებოდა (სომეხთა ნაციონალურ საბჭოში და იმ შენობაში, რომელშიც სომხეთის საელჩო იყო მოთავსებული. ჩხრეკვის შედეგად აღნიშნულ შენობებში დაპატიმრებულ იქნენ სათადარიგო ოფიცრები და ჯარში გასაწვევი 184 ახალგაზრდა".

23 დეკემბერი. საქართველოს მთავარი სამხედრო შტაბის ცნობა: „გუშინ სადახლოსთან მთელი დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. მტრის ძლიერი ძალა შეტევას აწარმოებს. სადახლოსთან შემოტევის დროს სოფელ შულავერის (ახლანდელი შაუმიანის ახლოს — ს. ქ.) მცხოვრებლებმა გააფუჭეს ტელეგრაფი და რკინის გზა".

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა სომეხი როდი იყო დაშნაკთა მთავრობის მომხრე. 23 დეკემბერს თელავიდან ჟორდანიას სახელზე მიღებულია დეპეშა: „თელაველი სომხების მრავალრიცხოვანი კრება პროტესტს აცხადებს სომეხ ავანტიურისტთა მოქმედებაზე, რომლის შედეგია მოძმე ერებს შორის სისხლისღვრა... კრების თავმჯდომარე მხითაროვი".

24 დეკემბერი. სამხედრო შტაბის ცნობა: „23 დეკემბერს სადახლოსთან ორი დღის ძლიერი ბრძოლა დამთავრდა ჩვენი ჯარის უკანდახევით. ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ჩვენს ზურგში მდებარე სომეხთა მაცხოვრებლებმა, რომლებმაც გააფუჭეს რკინის გზა, მოშალეს კავშირი და მებრძოლებმა ვერ მიიღეს სათანადო შევსება. გარსშემორტყმულმა ჩვენმა ჯარმა გაარღვია რკალი. გვყავს ბევრი დახოცილი".

25 დეკემბერი. თბილისში სადმო სასაფლაოზე დაკრძალეს ბრძოლის ველზე გმირულად დახოცილები. გამოსვენებას დაესწრო დიდძალი ხალხი, აგრეთვე საქართველოს პარლამენტი მთელი თავისი შემადგენლობით. ომის დაწყების მომენტიდან მთელ საქართველოში მიმდინარეობს მოსახლეობის კრებები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობის მოქმედებას. იკრიბება სახსრები თავდაცვის ფონდში ჩასარიცხად.

26 დეკემბერი: სამხედრო შტაბის ცნობა: „გუშინ ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა სოფელი დაგეტ-ხაჩინი. შულავერთან ბრძოლები გრძელდებოდა. დანარჩენ ფრონტებზე სიწყნარეა. ვახდენთ ძალათა გადაჯგუფებას".

27 დეკემბერს სამხედრო მინისტრი გიორგაძე და სახალხო გვარდიის უფროსი ვალიკო ჯუღელი პარლამენტში ვრცელ მოხსენებას წარმოთქვამენ სამხედრო ვითარების შესახებ.

29 დეკემბერი სამხედრო შტაბის ცნობა: „ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა შულავერის რაიონში ჩამოაგდო მტერი ორი ფრიად მნიშვნელოვანი მაღლობიდან. დღეს, დილით ადრე ჩვენმა ჯარმა იერიშით დაიჭირა სოფელი იუხარი — სალარო, მასთან ერთად ხელთ იგდო ორი საველე ზარბაზანი, 2 ყუთი ყუმბარებით და 2 ტყვიასმფრქვევი. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. ტყვედ წამოვიყვანეთ 2 ოფიცერი და რამოდენიმე ჯარისკაცი. ბრძოლის ადგილი მტრის გვამებითაა დაფარული. ჩვენი ზარალი მცირეა".

„გუშინ, 30 დეკემბერს დილის 11 საათზე ჩვენმა ჯარებმა გაანთავისუფლეს შულავერი, ხოლო შემდეგ სადახლო. მტერი ბრძოლით უკან იხევს. შულავერთან ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო: ოთხი ზარბაზანი, 15 ტყვიასმფრქვევი, 2 საარტილერიო საწყობი, მრავალი საზიდელა და საომარი მასალა. ტყვეები: 6 ოფიცერი და 106 ჯარისკაცი. მტერს მივსდევთ. შულავერის მცხოვრებლებმა შეგვახვედრეს თავისი დელეგაცია და შეწყალება გვთხოვეს".

31 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ სამხედრო სამინისტროს მიმართ გამოსცა № 185 ბრძანება — „ბრძოლის ველზე მოკლულ საქართველოს რაინდ ოფიცერთა და ჯარისკაცთა დაკრძალვის ორგანიზაცია, სამშობლოში ჩამოტანა მათი გვამებისა და დახოცილ-დაჭრილთა ოჯახებისათვის დახმარება — პენსიის გეგმა". აი, ზოგიერთი მუხლი ამ ბრძანებიდან: მუხლი 4. რაინდთა დასაფლავებისას პატივისცემა ხდება სამხედრო წესით. გმირებს დაკრძალვის დროს პატივი უნდა სცენ ადგილობრივმა სამხედრო ნაწილებმა, აგრეთვე ადმინისტრაციამ და საზოგადოებამ;

მუხლი 5. გმირთა სისხლის სამარადისო ხსოვნისათვის ისინი შეტანილნი იქნებიან სამხედრო ნაწილებში არსებულ საპატიო წიგნებში..."

1919 წლის 1 იანვრის ღამით ქართველთა ჯარის წინსვლა მოულოდნელად შეწყვეტილ იქნა მთავრობის ბრძანებით. რატომ?

ცოტა უკან დავიხიოთ ქრონოლოგიურად.

23 დეკემბერს ბათუმიდან თბილისში ჩამოდიან ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლები, მათვე ჩამოჰყვა სომხეთის დიპლომატიური მისიის მეთაური ჯამალიანი. 25 დეკემბერს გაიმართა თათბირი. აი, ამ თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტი:

„დიდი ბრიტანეთის გენერალ-მაიორმა რაიკროფტმა და საფრანგეთის მისიის მეთაურმა პოლკოვნიკმა შარდინმა საქართველოს მეთაურთან გამართულ თათბირზე ჯამალიანის თანადასწრებით დაადგინეს: დაუყოვნებლივ იქნას შეწყვეტილი სამხედრო მოქმედება. ფრონტზე რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაემგზავროს ინგლისელების, ფრანგების, ქართველების და სომხებისაგან შემდგარი შერეული კომისია, რათა ცხოვრებაში გაატარონ შეთანხმების შემდეგი პირობები:

კომისია სწყვეტს იმ გარნიზონების რაოდენობას, რომელსაც დასტოვებენ ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში ქართველები, სამხრეთ ნაწილში — სომხები და აგრეთვე ახალქალაქის მაზრაში — ქართველები. გარნიზონებში მცირერიცხოვანნი იქნებიან. ქართველთა ჯარები დადგებიან იმ ხაზზე, რომელიც ამჟამად უჭირავთ (ე. ი. 25 დეკემბრისათვის ს. ქ.), სომხეთის ჯარებმა უნდა დაიხიონ ოსმალეთის საზღვრამდის ახალქალაქიდან — დიხის ჯალალოღლამდე.

ბრიტანეთის პიკეტი იდგომებიან რკინიგზის გასწვრივ იმ მანძილის სივრცეზე, რომელიც დარჩება ქართველ-სომეხ ჯარებს შუა. ამ სადავო ნაწილში ადმინისტრაცია იქნება შერეული.

ახალქალაქის მაზრაში საქართველოს ადმინისტრაციას მეთვალყურეობას გაუწევს მოკავშირეთა (ინგლის-საფრანგეთის) კომისია, რომელშიც აგრეთვე შედიან ადგილობრივი სომეხთა და მაჰმადიანთა წარმომადგენლები.

საქართველო — სომეხთა სახელმწიფოების წარმომადგენლები მოკლე ხანში ევროპაში იქნებიან გაგზავნილნი, სადაც ყველა საკითხი საზღვრების შესახებ საბოლოოდ გადაჭრილი იქნება დიდ სახელმწიფოებთან.

რაიკროფტი, შარდინი, ჟორდანია 25/12. 1918 წელი".

ამ თათბირის შემდეგ ომი კიდევ გრძელდება და წყდება მხოლოდ პირველ იანვარს. შეთანხმების შესახებ საქართველოს პარლამენტის წევრებმა არაფერი არ იციან, სწორედ ამიტომ ომის შეწყვეტამ ეროვნული საბჭოს ზოგიერთ პარტიულ ფრაქციაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 3 იანვრის სხდომაზე ცხარე კამათი გაიმართა:

„...სპირიდონ კედია (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) — ეს ისეთი ძირითადი საკითხია, რომ მთავრობა უნდა შეეკითხოდა არამც თუ მარტო პარლამენტს, არამედ უნდა დაეკითხოდა თვით ხალხსაც და მე მწამს, რომ პარლამენტი და მთელი ხალხი ასეთ პირობებს მიუღებლად იცნობდნენ. მთავრობამ კაბინეტში ჩუმად გადაწყვეტილი საკითხი ჩვენ დროზე არ შეგვატყობინა, პარლამენტმა არა იცოდა რა. ესაა მისი პირველი და მთავარი დანაშაული. [illegible] დეკემბერს დაწერილა ზავის პირობები, ამის შემდეგ კი ჩვენმა ჯარმა მტერი დაამარცხა, წინ მივიწევდით, რომ ერთბაშად ომი გათავდა. ეხლა ყოველი ქართველი ბუნებრივად, ეკითხება თავისთავს — რა ყრია ამ ზავის პირობებში? და მეც მინდა ვიკითხო: დაცულია თუ არა ამ პირობებში ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესები და მისი ეროვნული ღირსება?

...და საერთოდ ვინ არიან მაიკროფტი და შარდინი? აქვთ მათ თავიანთი მთავრობების რწმუნება ჩაერიონ ჩვენს საქმეებში? ნუთუ ჩვენ 26 მაისიდან სუვერენული სახელმწიფო არა ვართ? გამოდის, რომ ჩვენმა მთავრობამ მათ ქედი მოუდრიკა...

ზავის პირობები საშინელია ჩვენთვის. გამოდის, რომ თვით ახალქალაქის მაზრაშიც, საიდანაც სომხის ჯარები სულ განდევნილია და მარტო საქართველოს ჯარი სდგას და სადაც ჩვენი სუვერენობა სრული უნდა იყოს, აქაც, ბატონებო, საქმეში შერეული კომისია უნდა ჩაერიოს, რომლის შემადგენლობაში შედის ფრანგი, ინგლისელი და სომეხი! გესმით, ბატონებო, უცხოელები მეთვალყურეობას უწევენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას ახალქალაქის მაზრაში!!

ესაა ჩვენი სუვერენობის შებღალვა. მთავრობას არ ჰქონდა ზნეობრივი უფლება მოეწერა ხელი ამ პირობაზე, ვიდრე ამას პარლამენტს არ შეეკითხებოდა!

ვასკვნი: მთავრობამ ვერ დაიცვა ჩვენი ერის ღირსება. მოგვცა ზავი არა გამარჯვებულის, არამედ დამარცხებული ჯარის პატრონი სახელმწიფოსი. ამით სამშობლოს ღირსება გაუტეხა და პრესტიჟი დაუკარგა!"

ე. გეგეჭკორი (სოციალ-დემოკრატიული პარტია, საგარეო საქმეთა მინისტრი) — მთავრობას ძალიან კარგად ესმის ზოგიერთი ჯგუფების გულისწყრომა. ეს ადვილად აიხსნება, მაგრამ ჩვენ ამავე დროს ვფიქრობთ, რომ გრძნობებით გაცხარება ძალიან ცუდი საზომია რეალური პოლიტიკისათვის. ჩვენი მთავრობა მოქმედებს ანგარიშით და ამით [illegible]ბით შედეგს მივაღწიეთ... საქართველოს მთავრობამ შესძლო შემუსვრა ერევნის ავანტიურისტული მთავრობისა, ისინი უკვე ქედმოხრილნი არიან. მთავრობამ შესძლო, რომ სომხის ჯარი თავის საზღვრებში გავიდეს. მთავრობამ შესძლო დაემტკიცებინა, რომ საქართველო არ იყო ომის გამომწვევი და სისხლისღვრა არც სურს. თქვენთვის ნათელია, რომ საქართველოს მთავრობა სულგრძელობას იჩენს და იქ, სადაც ჩვენი ხალხის ინტერესები არ იბღალება, მორიგებით ათავებს საქმეს. ჩვენ ანგარიში გავუწიეთ იმ გარემოებას, რომ აქ სულ ადვილად შეიძლება მომხდარიყო ის, რაც ჩვენს ხალხს უბედურებას დაატეხდა. მთავრობამ დაამტკიცა, რომ თუ მეზობელი ერი ან მისი მთავრობა მოისურვებს საქართველოს თავისი ნებისყოფა მახვიოს თავზე, იგი ამის ნებას არ მისცემს...

**სიმონ [illegible]ლაძე,**
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.
აპრილი-მაისი, 1990 წ.

(დასასრული იქნება)




# საქართველოს მეცნიერებს ჰელსინკის კავშირისა და ილია მართლის საზოგადოების მოწოდება

**საქართველოს** ეროვნული მოძრაობა დიდ აღმავლობას განიცდის. მისი საბოლოო მიზანია დამოუკიდებლობის მოპოვება და საქართველოს სახელმწიფოებრიობის სრული აღდგენა, „მაგრამ დღესვე კონკრეტულად თუ არ ებრძოლე დარღვევებს სასამართლოებში, საპატიმროებში, სასწავლებლებში, წარმოებებში და სხვაგან, ისე საფუძველს ვერ ჩაუყრი მომავალი დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, რადგან მარტოოდენ ამგვარ საქმიანობაში, სულიერი მოძრაობის ამგვარ პროცესში იჭედება რაინდულ-მოქალაქეობრივი თვისებები, მომავალი თავისუფალი სახელმწიფოს ზნეობრივ სიმტკიცედ, მის შეუვალ ციხე-ბურჯად რომ წარმოგვიჩინდება" — აღნიშნავდა მერაბ კოსტავა.

ჭეშმარიტად, თავისუფლება ერთი ხელის მოსმით, დამოუკიდებლობის ოდენ დეკლარაციული გამოცხადებით არ მიიღწევა.

წელს ავტონომია გამოაცხადა რიგმა უმაღლესმა სასწავლებლებმა, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადადგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამაც. მაგრამ ჯერჯერობით ეს არის საკავშირო დაქვემდებარებიდან ოდენ ფორმალური გამოყოფის ცდა. საჭიროა არსებითად, შინაარსობრივ შეიცვალოს უმაღლეს სასწავლებელთა და მეცნიერებათა აკადემიის მთელი სტრუქტურა, რამდენადაც ის იმთავითვე ჩაფიქრებული იყო, როგორც საკავშირო უწყებების ფაქტობრივი ქვეგანაყოფი, რომელიც იმეორებდა ცენტრის სტრუქტურას და იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად ექვემდებარებოდა მას. უმაღლეს სასწავლებლებში და მეცნიერებათა აკადემიაში ცენტრისტული ტენდენციები არსებითად ამჟამადაც არ შეცვლილა, მაგრამ მხოლოდ დეცენტრილიზაციაც, სისტემის არსის შეუცვლელად მეცნიერების ფაქტობრივ წინსვლასა და ეროვნული დარგების განვითარებას ვერ უზრუნველყოფს.

ამჟამად ყურადღებას მივაპყრობთ არა სასწავლო, არამედ სამეცნიერო პროცესების სწორ წარმართვას. ჩვენს მეცნიერებაში დანერგილი ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული მართვის წესი, რომელიც არსებითად ცენტრის იდეოლოგიური დაწოლის, მისი დადგენილებებისა და მოთხოვნების განმახორციელებელი იარაღია და გამოიყენება ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში ეროვნული მეცნიერების დასათრგუნავად, სრულიად უფუნქციო ხდება საქართველოს მეცნიერების დამოუკიდებლობის ვითარებაში, როდესაც მეცნიერების სხვადასხვა ეროვნულ დარგებს უნდა მიეცეს თავისუფალი განვითარების სრული შესაძლებლობა.

ამდენად, მეცნიერების რეორგანიზაცია გულისხმობს, პირველ ყოვლისა, ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც არ გაიმეორებს საბჭოთა მოდელს და საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად ავიცდინოთ ახალი, უკვე ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, ბიუროკრატიული აპარატის დანერგვა.

მამულიშვილნო, სწავლულნო და მეცნიერნო!

მოგიწოდებთ, ავაღორძინოთ მეცნიერების ჭეშმარიტი შემოქმედებითი თავისუფალი სული. ვიყოთ გელათის, იყალთოს, გრემის აკადემიების, სინას მთის, ათონის, ჯვრის მონასტრის, პეტრიწონის კეთილშობილ ქართველ მოღვაწეთა სულიერი მემკვიდრენი. დავაფუძნოთ ჩვენი მეცნიერება ქართული ენისა და ქართული ჰუმანური აზროვნების ეროვნულ ბურჯზე. გავათავისუფლოთ ჩვენი ცნობიერება სხვათა გავლენისაგან და საკუთარი მმართველობის დიქტატისაგან. გავაცოცხლოთ მეცნიერული და სულიერი შემოქმედების ეროვნული ძარღვი.

ამ თვალსაზრისით ბევრი რამაა განსახორციელებელი. მეტად საშურია პირველი კარდინალური ნაბიჯის გადადგმა სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების ახალი სისტემის შესაქმნელად, რომელიც არსებითად გაითვალისწინებს ჩვენსავე ეროვნულ ტრადიციებს და საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრების მდიდარ დემოკრატიულ გამოცდილებას.

ამ დღეებში საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ სამეცნიერო ატესტაციის ყველა საკითხი გადაწყდეს საქართველოში. უფრო ადრე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა სათათბიროს ავტონომიზაციის საკითხთა შემსწავლელმა კომისიამ გამოაქვეყნა შესაბამისი განცხადება, რაც მისასალმებელია. მაგრამ ეს რომ არ დარჩეს მორიგ ფორმალურ დეკლარაციად, საჭიროა ყველა დემოკრატიული ეროვნული სამეცნიერო ძალების ამოქმედება, ერთობლივი დაძაბული ძალისხმევა.

ამ მიზნით მიზანშეწონილია საქართველოში მოქმედი ყველა სამეცნიერო თუ სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულების, ცენტრისა თუ ოფიციალური ორგანიზაციის წარმომადგენელთა, ამ საკითხით სისხლხორცეულად დაინტერესებული პირების კონფერენციის მოწვევა, სადაც საჯაროდ განიხილება სათანადო პროექტები და მოსაზრებები.

კონფერენციის მოწვევის თარიღად ვვარაუდობთ 30 მაისს. გთხოვთ განაცხადები და პროექტები წარმოადგინოთ შემდეგი მისამართით: თბილისი, ზოია რუხაძის I, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექცია, ზ. არზიანი.

**ჰელსინკის კავშირი, ილია მართლის საზოგადოება.**

## 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების 70 წელი

# დეპუტატებო, აწ კი თქვენ, გამოდით თქვენი ჭირიმე!

**ქალბატონებო** და ბატონებო! დედებო და მამებო, დებო და ძმებო, ქალიშვილებო და ვაჟიშვილებო! თქვენ მოგმართავთ ერთერთი თქვენი თანამემამულე, ნათესავი ქართველთა, მოყვასი და პატივისმცემელი არაქართველთა. ქართველებო, აფხაზნო და ოსნო, რუსნო და აზერბაიჯანელნო, უკრაინელნო და სომეხნო, ბერძენნო და ქურთნო, აისორნო და ვინც არ უნდა იყოთ თქვენ, რა მოდგმისა და ჯილაგისა, უცხო თესლი თუ ნათესავნი ქართველთა, ქრისტიანულ თუ მაჰმადის სჯულზედ, თქვენ მოგმართავთ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებო! საქართველოს დაცვა დღეისათვის არსებული წყობილების ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, თქვენ შეგიძლიათ და ვალდებულებაც არის თქვენი, რამეთუ თქვენა ხართ კანონმდებელნი და მაკონტროლებელნი ამ კანონებისა დღეისათვის, დე ფაქტო (ფაქტობრივად), საქართველოში არსებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა.

რა მოხდა, იკითხავთ თქვენ. მოხდა, ძვირფასებო, და უფრო მეტიც. რაც აქამდე ვერ გააკეთა, უფრო სწორად ვერ გაბედა, კაცობრიობის ერთერთმა ყველაზე გამორჩეულმა დიქტატორმა იოსებ სტალინმა, იმას აკეთებს „ჩვენი" ახლანდელი ხელისუფლება. თუ სტალინის კონსტიტუცია თუ ყველა სხვა კანონი სანიმუშო [illegible] და [illegible] ამ დოკუმენტებს ამოფარებული ჩადიოდა უკანონობას, ახლანდელი ცენტრი უკანონობას მსოფლიოს თვალწინ აკანონებს, რათა ჩვენი ყოველი გაბრძოლება ამ უკანონობის წინააღმდეგ, გამოცხადებულიყო კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად, მსოფლიო აღმოსავლეთი ევროპა ჩაჩხირა პირში და ამით ჩაჩუმა, ოფიციალურად მაინც, ჩვენ კი (მოკავშირე რესპუბლიკებს) მოგვდგა და გვახრჩობს ყველას დასანახად. მაგალითია „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ" (გაზეთებში: „კომუნისტი" 10.04.90; „პრავდა", 07.04.90). აიღეთ ეს „კანონი" და ნახეთ. პირველი მუხლიდანვე იწყება ტყუილი და ძალადობა: „სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს ეს კანონი"-ო. არ დაიჯეროთ! აი, როგორია „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) (თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1977) „მუხლი 72. ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება" (30-ე გვ.). რას ნიშნავს თავისუფალი გასვლის უფლების დატოვება? აი, რას წერენ თქვენთვის კარგად ცნობილი ვლადიმერ კუდრიავცევი და ანატოლი ლუკიანოვი („სსრ კავშირის კონსტიტუცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი კომენტარები". პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა, მოსკოვი, 1982 წელი, 213-ე გვ.): „ეს უფლება მოკავშირე რესპუბლიკისა უპირობოა. მის განსახორციელებლად საჭირო არაა არც სსრ კავშირისა და არც მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უზენაესი ორგანოების თანხმობა". ზემოთ აღნიშნული კანონი კი სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამავალი მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლების ორგანოსაგან, ე. ი. თქვენგან, მოითხოვს გადაწყვეტილების წინასწარ შეთანხმებას სსრ კავშირის უზენაეს საბჭოსთან, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობასთან, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან, ავტონომიურ რესპუბლიკებთან და კომპაქტურად დასახლებულ სხვა ეროვნების მოსახლეობასთანაც კი. გამოდის, ცალკეულ სოფლებსაც კი შეუძლიათ დარჩნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, უარს ეტყვიან რათან გაყოლაზე სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამავალ რესპუბლიკას. ხომ აბსურდია, მაგრამ „კანონი" უშვებს ამ აბსურდს. ასეთი რამ ინგლისმა გაუკეთა ირლანდიას 1921 წელს. თუ რა შედეგი მოჰყვა ამას, ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ ჩრდილოეთ ირლანდიის მაგალითზე: მტრობას და ხოცვა-ჟლეტას დღესაც, 70 წლის შემდეგაც, ბოლო არ უჩანს. კანონი იმასაც უშვებს, რომ შეთანხმებულ უნდა იქნას „ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც არ ეკუთვნოდა გამავალ რესპუბლიკას სსრ კავშირის შემადგენლობაში მისი შესვლის მომენტისათვის (მუხლი 14, პუნქტი 7), მაგრამ არ ითვალისწინებს იმ ტერიტორიების სტატუსს, რომლებიც ეკუთვნოდა გამავალ რესპუბლიკას მისი ძალად გასაბჭოებისას, თუ სსრ კავშირის შემადგენლობაში მისი შესვლისას.

თვალის დახუჭვა და გაუგონარი ძალადობანარევი უკანონობის წაყრუება დაუშვებელია, რამეთუ ეს იქნება თვალის დახუჭვა და წაყრუება თქვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალი ბედუკუღმართობისადმი, გაუთავებელი ერთაშორისი კონფლიქტებისადმი, სამუდამო მონობის საკუთარი ნებით კისერზე დადგმისადმი. თქვენ გაქვთ მიღებული ასეთი ღონისათვის ვარგისი დადგენილებანი და კანონის მუხლები, ისეთი როგორიცაა გასული წლის ნოემბრის კონსტიტუციური შესწორებები და ამა წლის 9 მარტის დადგენილება. გამოიყენეთ ისინი. გამოსაყენებლად კი სასწრაფოდ მოიწვიეთ საგანგებო სესია, მოსთხოვეთ თქვენს პრეზიდიუმს სესიის მოწვევა. სესიის ერთერთ, მაგრამ უმთავრეს საკითხად განიხილეთ საკითხი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ".

მინდა შემოგთავაზოთ ზოგიერთი მოსაზრება, რასაც მე აპრობაცია გაუკეთე სხვადასხვა წრეში, რამოდენიმე უზენაესი საბჭოს დეპუტატის თანდასწრებითაც კი. აი, ეს მოსაზრებანი.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ", რაც „გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს, და ესწრაფვის საქართველოსათვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას", უკანონოდ და ბათილად აცხადებს 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ სამოკავშირეო ხელშეკრულებას საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, მასთან ერთად 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებას ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერალური კავშირის შექმნის შესახებ, და საჭიროდ თვლის, რომ „დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია".

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სსრ ფაქტობრივად შედის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მქონე მოკავშირე რესპუბლიკის უფლებით და რომ მას სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 69-ე მუხლების თანახმად (რაც მთავარია ერთი მეორეს არ გამორიცხავს) სსრ კავშირის შემადგენლობიდან თავისუფალი გასვლის უფლება აქვს, მის განსახორციელებლად საჭირო არაა არც სსრ კავშირისა და არც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უზენაესი ორგანოების თანხმობა;

ამის გამო, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მესამე სესიაზე ორივე პალატის მიერ მიღებულია რიგი კანონებისა, მათ შორის „კანონი სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ", რაც არსებითად ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 69-ე მუხლებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების გადაწყვეტილებას ამ კანონის მიხედვით განიხილავს და ადასტურებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭო და სახალხო დეპუტატთა ყრილობა, მოკავშირე რესპუბლიკები და ავტონომიური წარმონაქმნების უზენაესი ხელისუფლების ორგანოები, თვით კომპაქტურად დასახლებული სხვა ეროვნების ჯგუფებიც კი;

საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს შეუძლია განაცხადოს, რომ 1969 წელს მიღებული „სამხედრო დანაშაულობებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებზე ხანდაზმულობის ვადის გაუვრცელებლობის კონვენციის" პირველი მუხლისა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის სესიის დადგენილების თანახმად საქართველოს რესპუბლიკა დე იურე (იურიდიულად) თავისუფალია სსრ კავშირისაგან და არ წარმოადგენს მის მოკავშირე რესპუბლიკას, დე იურე დღესაც დამოუკიდებელი რესპუბლიკაა დამოუკიდებელ საქართველოსა და რსფსრ-ს შორის 1920 წლის 7 მაისის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

რომ ითვალისწინებს, დე ფაქტო (ფაქტობრივად), საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელწოდებით მის ყოფნას სსრ კავშირის შემადგენლობაში, სადაც მოქმედებს საბჭოური კანონები, იყენებს ამ კავშირის ფარგლებში მოქმედი სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 69-ე მუხლებს და ზემოთ ნათქვამის საფუძველზე დაადგინოს:

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 69-ე მუხლების ძალით დღიდან ამ დადგენილების მიღებისა ჩაითვალოს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასულად, რათა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებისა და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენის გზით დე ფაქტო არსებული დღევანდელი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა გაუთანაბროს მის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით რსფსრ-ს მიერ დე იურედ და დე ფაქტოდ აღიარებულ სახელმწიფოებრივ მდგომარეობას;
2. ეწოდოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკას საქართველოს რესპუბლიკა;
3. ეწოდოს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს საქართველოს უზენაესი საბჭო;
4. შეწყდეს სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე;
5. აღდგენილ იქნას, დღევანდელი დღისათვის შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ, 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია;
6. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გარდამავალი პერიოდი დე ფაქტოდ არსებული სახელმწიფოებრიობიდან დე იურედ კუთვნილ სახელმწიფოებრიობამდე მის მისაყვანად;
7. საქართველოს უზენაესმა საბჭომ აღდგენილი და განახლებული კონსტიტუციის საფუძველზე ჩაატაროს საქართველოს რესპუბლიკის მრავალპარტიული არჩევნები საყოველთაო, თანაბარი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით საქართველოს ახალი საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად.
8. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით რსფსრ-ს მიერ აღიარებული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, სსრ კავშირიდან საქართველოს რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებით, დაიწყოს სამთავრობო მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისა და ექსპერტთა მონაწილეობით;
9. ყველას ვისაც სურვილი არა აქვს იცხოვროს დამოუკიდებელ საქართველოში და სურს სსრ კავშირში ცხოვრება, თავისუფლად შეუძლია დატოვოს საქართველოს ტერიტორია.

ასეთია ჩემი წინადადებანი. დანარჩენი თქვენზეა.

ვიცი, რომ ზოგიერთი ჩაიცინებს, გაიფიქრებს, მონახა რა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტებიო, მაგრამ ახლა სწორედ რომ თქვენი აქტივობის ჯერია. თქვენ საშუალება გეძლევათ დაამტკიცოთ, რომ 1989 წლის ნოემბერში მიღებული კანონები თუ კონსტიტუციის შესწორებანი, 1990 წლის 9 და 20 მარტის დადგენილებანი თქვენთვის სხვას კი არ მოუხვევია თავზე და არც იმიტომ მიგიღიათ, რომ ხელმძღვანელმა შემოგთავაზათ, არამედ თქვენი შინაგანი მოთხოვნილება რეზონანსში მოვიდა შემოთავაზებულ კანონებთან თუ დადგენილებებთან და იმიტომ მიიღეთ. ვერ დავიჯერებ, ყოველ შემთხვევაში არ მინდა დავიჯერო და ასე ვფიქრობ საფუძველს სახალხო ფრონტის გამგეობის მიერ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფებთან მოწყობილი ორი შეხვედრა მაძლევს, რომ უზენაესი საბჭოს 440 დეპუტატს შორის რამოდენიმე კაცი, ცხრა ძმა ხერხეულიძის მსგავსი, არ მოიძებნება, რათა წინ გაუძღვეს კანონმდებელთა ლაშქარს და საქართველო დაიცვას მავანთა და მავანთა თვითნებობისაგან. მე ასე მწამს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ყველამ თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გაუწიოს სამსახური. თქვენი შესაძლებლობა „დღევანდელ დღეს მნიშვნელოვანია — თქვენ დღევანდელი არსებული წყობილების კანონმდებლები ხართ საქართველოში. გამოიყენეთ კანონით მონიჭებული უფლებები და ხელი გაუმართეთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დაიცავით სრულიად საქართველო.

ღმერთო შეგეწიოთ საკუთარ ფსიქოლოგიასთან ჭიდილში! უფლებები, კონსტიტუციურიც კი, თქვენ გაქვთ.

**რევაზ ხალია,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა. 1917 წლის ივლისი.

# 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუცია და საქართველო

## წერილი პირველი

1914 წლის ზაფხულში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რომელშიაც ჩაბმული აღმოჩნდა 33 ქვეყანა. ომში გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკი დაუპირისპირდა ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის კავშირს (ანტანტა). იმავე წლის შემოდგომაზე გერმანიამ ომში თურქეთიც ჩაება. გერმანიამ და თურქეთმა შეტევითი ოპერაციები გააჩაღეს ამიერკავკასიაში. თურქეთის მაშინდელ ხელმძღვანელობას ფართო დაპყრობითი გეგმები ჰქონდა. იგი, პირველყოვლისა, ცდილობდა საქართველოსა და სომხეთის მიწა-წყლის მიტაცებას.

გერმანიის სარდლობა ვარაუდობდა სწრაფად დაემარცხებინა რუსეთი, რომ შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ მიემართა ძალები და, ამრიგად, ორ ფრონტზე ბრძოლა თავიდან აეცილებინა, რუსეთი ომისათვის საფუძვლიანად მომზადებული არ ყოფილა და გერმანია-ავსტრიის შემოტევა ვერ შეაკავა. პირველი წლის საომარ ოპერაციებში რუსეთმა დაჰკარგა ბალტიისპირეთი, ბელორუსია-უკრაინის ნაწილი.

ცარიზმის მოუმზადებლობა ომში და კავკასიის ფრონტზე სამხედრო ოპერაციების გაჩაღება წამქეზებელი აღმოჩნდა ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ერთი ჯგუფისათვის, რომელიც ვარაუდობდა გამოეყენებინა ხელსაყრელი ვითარება და გერმანიის დახმარებით მიეღწია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. მოღვაწეთა ამ ჯგუფს მეთაურობდნენ გიორგი გვაზავა, მიხეილ წერეთელი, რევაზ გაბაშვილი, პეტრე სურგულაძე, გიორგი მაჩაბელი, ლეო კერესელიძე და სხვები. მათ სამოღვაწეო კერები ჰქონდათ არა მარტო საქართველოში, არამედ ჟენევაში, ლონდონში, ბერლინში, კონსტანტინეპოლში, ვენასა და სხვა ქალაქებში. ისინი ვარაუდობდნენ ქართველ ტყვეთაგან ავსტრიაში და ბერლინში შეექმნათ სამხედრო ნაწილები, რომლებიც იბრძოლებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. ნავარაუდევი იყო საქართველოში იარაღის შემოტანა და ხელსაყრელ დროს ხალხის აჯანყება ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ.

მაგრამ ცარიზმის დამხობა ისედაც მოახლოებული იყო. ომის სიძნელეებმა განსაკუთრებით იჩინა თავი 1917 წლის დამდეგიდან. კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მოიშალა ტრანსპორტი, არმიას აკლდა საომარი მასალა და სურსათი. სამეურნეო ნგრევა ყოველდღიურად ღრმავდებოდა და იღებდა კატასტროფიულ ხასიათს. მოსახლეობა დამშეული იყო და ხშირად აწყობდა „სასურსათო ბუნტებს". ცარიზმის სამმართველო აპარატი გაიხრწნა. სასახლის კარზე ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა ავანტიურისტი გრიგოლ რასპუტინი. „რასპუტინშჩინა" მონარქიული რეჟიმის სრული სიდამპლისა და გახრწნილების გამოვლინებას წარმოადგენდა.

1917 წლის თებერვალში პეტროგრადში ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციები დაიწყო. მთავრობამ ჯარს დაავალა ანგარიში გაესწორებინა მანიფესტანტებისათვის, მაგრამ არმია ხალხის მხარეზე გადავიდა და დედაქალაქის მთელი გარნიზონი აიყოლია. ჯარისკაცებმა თავიდან მოიცილეს მონარქისტი ოფიცრები და რევოლუციურად განწყობილ თანამებრძოლებს მიანდეს აჯანყების ხელმძღვანელობა. თებერვლის ბოლოსათვის რევოლუციურმა არმიამ პეტროგრადი ხელთ იგდო და რუსეთის მონარქისტული რეჟიმი დამხობილად გამოაცხადა.

ცარიზმის დამხობისთანავე რევოლუციურმა ჯარისკაცებმა და მუშებმა არჩევნების გზით შექმნეს თავიანთი ხელისუფლება — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე. საკუთარი მთავრობის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს იმ ბურჟუაზიულმა პარტიებმა (ოქტიაბრისტები, კადეტები), რომლებიც IV სახელმწიფო სათათბიროს უმრავლესობას წარმოადგენდნენ. დროებითი მთავრობის პირველ შემადგენლობას თავმჯდომარეობდა კადეტი ლვოვი. ამრიგად, თებერვლის შემდეგ რუსეთში შეიქმნა ორხელისუფლებიანობა. ეს ორი ხელისუფლება თავიანთი ინტერესებით ერთმანეთს უპირისპირდებოდა. ორთავე მხარე იმედს ამყარებდა დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც 1917 წლის მიწურულში უნდა შეკრებილიყო და გადაეჭრა რევოლუციის მიერ წამოყენებული ყველა საკითხი.

თებერვლის რევოლუცია მოულოდნელი იყო ქართველი საზოგადოებრიობისათვის. „რევოლუცია გვიბით მოგვართვესო" — ხუმრობდნენ ცარიზმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლებიც კი. ცნობას მეფის ჩამოგდების შესახებ ხალხი პირველ ხანებში



დროებითი მთავრობის კომისრის ხარლამოვის გამგზავრება თბილისიდან 1917 წლის 18 მარტს.

საბჭოების ჩამოყალიბება სწრაფად განხორციელდა ამიერკავკასიის გუბერნიებსა და მაზრებში. საბჭოები შექმნეს აგრეთვე სამხედრო ნაწილებმაც. მარტის პირველ ნახევარშივე თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს ინიციატივით მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობა, რომელმაც შექმნა საოლქო ცენტრი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ნოე ჟორდანია სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღიარებული ლიდერი იყო არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთშიც. ლენინი მას მენშევიზმის „ფარულ არტილერიას" უწოდებდა.

დროებითმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ ამიერკავკასიის სამართავად შექმნა განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი"), რომელსაც რუსი კადეტი ხარლამოვი თავმჯდომარეობდა. „ოზაკომის" შემადგენლობაში წარმომადგენლებად ქართველების მხრივ შეყვანილ იქნა ცნობილი კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე კიტა აბაშიძე და ყოფილი სახელმწიფო სათათბიროს წევრი აკაკი ჩხენკელი, რომელიც რევოლუციის შემდეგ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კავკასიის კომისრის ფუნქციას ასრულებდა. აკაკი ჩხენკელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო. იგი რუსეთსა და ამიერკავკასიაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა. „ოზაკომი", როგორც დროებითი მთავრობის ორგანო, პრინციპში უპირისპირდებოდა საბჭოების ხელისუფლებას, თუმცა ამიერკავკასიაში ამ ორ მმართველ ორგანოს კონფლიქტები არ ჰქონია. ხალხში მეტი ავტორიტეტით მაინც საბჭოების რევოლუციური ორგანოები სარგებლობდნენ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას, რომელსაც ხელისუფლების ყველა ორგანოში უმრავლესობა ჰყავდა და წამყვანი პოზიცია ეკავა, 1917 წლის თებერვლის შემდეგ შეეძლო წამოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის პრაქტიკული განხორციელება. მაგრამ იგი ამ გზას არ დასდგომია. ეს პარტია წინა პლანზე აყენებდა რუსეთის იმპერიის ხალხთა „საერთო რევოლუციურ ინტერესებს" და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება მას „მავნე სეპარატიზმად" მიაჩნდა. ასევე ფიქრობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭო, რომლის აღმასრულებელ კომიტეტს სათა-

ნული საკითხის გადაწყვეტას დამფუძნებელ კრებას ანდობდნენ.

ეროვნული პრობლემების დაყენება-გადაწყვეტაში ყველაზე თანამიმდევრული პოზიცია ეკავა მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელმაც, როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყებიდან გააჩაღა სამზადისი ცარიზმის უღლისაგან სამშობლოს გათავისუფლებისათვის. თებერვლის შემდეგ ამ ჯგუფს ინტელიგენციის მხრიდან თანამგრძნობები მოუმრავლდა. გადაწყდა მისი ცალკე პარტიად გაფორმება, რაც განხორციელდა კიდეც საგანგებო ყრილობაზე 1917 წ. მარტში. ახალ პარტიას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეწოდა. მისი დამფუძნებლები იყვნენ სპირიდონ კედია, ალექსანდრე ასათიანი, გიორგი გვაზავა, რევაზ გაბაშვილი, პეტრე სურგულაძე, გრიგოლ ვეშაპელი და სხვები. ამ პარტიამ დააყენა „ინტერპარტიული საბჭოს შექმნის საკითხი. 1917 წლის აპრილში ასეთი საბჭო ჩამოყალიბდა. მასში გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატიის, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნული დემოკრატების, სოციალისტ რევოლუციონერების წარმომადგენლები. „ინტერპარტიული საბჭო" იყო პირველი ეროვნული ბირთვი, რომლის საფუძველზე შემდეგ ეროვნული საბჭო ანუ პარლამენტი ჩამოყალიბდა.

რუსეთის დემოკრატიული პარტიები მიიჩნევდნენ, რომ თებერვლის რევოლუციამ შეასრულა ხალხის მიერ მასზე დაკისრებული ამოცანა და ამიერიდან საქმე ამ მონაპოვრის განსამტკიცებლად უნდა წარმართულიყო. მართლაც, რუსეთში უცბად, ერთი ხელის დაკვრით განხორციელდა ნახტომი დესპოტიზმიდან დემოკრატიზმისაკენ. თებერვლის რევოლუციის შემდგომი რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთი დემოკრატიული სახელმწიფო ჩანდა.



„სახალხო გვარდია"

ვ. ი. ლენინი თებერვლის რევოლუციის მომენტში ემიგრაციაში იმყოფებოდა და იქიდან ადევნებდა თვალ-ყურს მოვლენათა განვითარებას. რევოლუციის გამარჯვებისთანავე მან გადაწყვიტა გამომგზავრებულიყო რუსეთში. 3 აპრილს იგი პეტროგრადში ჩავიდა. დედაქალაქის მშრომელებმა მას საზეიმო შეხვედრები მოუწყვეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუცია ვ. ი. ლენინს არ მიაჩნდა დამთავრებულად. პოლიტიკური კრიზისი, რაც თანდათან მწვავდებოდა, ლენინის აზრით ახალ, სოციალისტურ რევოლუციას უნდა გადაეწყვიტა. ვ. ი. ლენინის ეს თვალსაზრისი ჩამოყალიბებულია თეზისებში, რომლითაც იგი გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიების (ბოლშევიკების და მენშევიკების) საერთო შეკრებაზე პეტროგრადში ჩამოსვლის დღესვე. იგი დაედო საფუძვლად ბოლშევიკების VII (აპრილის) კონფერენციის მუშაობას და მის პოლიტიკურ პლატფორმად იქცა.

ვ. ი. ლენინის ასეთ პოზიციას სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან მკვეთრი წინააღმდეგობა გადაეღობა. გ. პლეხანოვმა, — რუსული მენშევიზმის მამამ ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებს „ბოდვა" უწოდა. დემოკრატიული პარტიები თვლიდნენ, რომ ახალი რევოლუციისათვის რუსეთი მომზადებული არ იყო და მისი ნაჩქარეობა, გზას გაუხსნიდა რეაქციის ძალებს. თვით ბოლშევიკებს შორისაც აპრილის თეზისებს მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ. საერთო შეხედულება იყო, რომ რუსეთში არცერთი პარტიას იმჟამად არ შესწევდა ხელისუფლების დაპატრონების ძალა და ავტორიტეტი.

ივნისიდან თავი იჩინა პოლიტიკური კრიზისის მოვლენებმა. პირველი დროებითი მთავრობა გადადგა. ახალი მთავრობა კოალიციური იყო, მასში ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად სოციალისტური პარტიებიც შევიდნენ. ახალ მთავრობაში თავიდანვე გაჩაღდა შეურიგებელი ბრძოლა. მთავრობის შემადგენლობიდან გავიდნენ კადეტები, პირველი კოალიციური მთავრობა დაეცა. ივლისის პირველ რიცხვებში შეიქმნა მეორე კოალიციური მთავრობა, მაგრამ იგი უფრო სუსტი გამოდგა. ძალაუფლების საკითხი გადასაჭრელად მიენდო ე. წ. „დემოკრატიულ თათბირს", რომელიც ყველა რევოლუციური ორგანიზაციის წარმომადგენლებს აერთიანებდა. დემოკრატიული თათბირი შედგა, მაგრამ შედეგი ვერ გამოიღო.

რევოლუციური კრიზისი უფრო გაამწვავა პეტროგრადში 3-5 ივლისის მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტამ. იგი დროებითმა მთავრობამ საბჭოების სანქციით განახორციელა. ამასთან, დაიწყო ბოლშევიკური პარტიის მიმართ რეპრესიული ღონისძიებანი. ბოლშევიკებმა ჩათვალეს, რომ 3-5 ივლისის ამბებმა საბოლოოდ ახადეს ფარდა საბჭოების ანტირევოლუციურ პოზიციას. ამიერიდან აღარ შეიძლებოდა ბრძოლა ლოზუნგით „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!", რადგან საბჭოები რევოლუციის სულისკვეთებას აღარ ასახავდნენ. დღის წესრიგში დადგა ძალაუფლების ხელში აღება შეიარაღებული აჯანყების გზით. შეიარაღებული აჯანყების საკითხი განხილულ იქნა რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე, რომელიც 1917 წ. აგვისტოში შეიკრიბა. ამ ყრილობას ვ. ი. ლენინი არ დასწრებია, რადგან არალეგალურ მდგომარეობაში იყო გადასული. ყრილობა ლენინის კარნახით მუშაობდა. ყრილობამ დაადასტურა ბოლშევიკური პარტიის კურსი შეიარაღებული აჯანყებისაკენ და დაავალა პარტიულ მუშაკებს ადგილებზე გაეშალათ სამზადისი.

რსდმპ (ბ) VI ყრილობის გადაწყვეტილებანი დაედო საფუძვლად ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველ სამხარეო ყრილობას, რომელიც თბილისში იქნა მოწვეული 1917 წ. ოქტომბერში. მიმდინარე მომენტის და პარტიის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სტ. შაუმიანი. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებანი მნიშვნელოვან საკითხებზე. არჩეულ იქნა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ფ. მახარაძის მეთაურობით.

1917 წ. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ეროვნული სუვერენიტეტის აღსადგენად პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ, თუმცა ამ ისტორიული მისიის განხორციელებისათვის სწორედ თებერვლის შემდეგ შეიქმნა ყველაზე ხელსაყრელი ვითარება.

ეროვნული სუვერენიტეტის მშენებლობის საქმეში ერთი ყველაზე დიდი აქცია იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც 1917 წ. მარტში განხორციელდა. ამავე წლის ოქტომბერში სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად არჩეული იქნა კირიონი.

ამავე წელს ქართულმა საზოგადოებრიობამ დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით გააჩაღა ენერგიული მზადება ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად. ამავე წელს ჩამოყალიბდა საქართველოს მწერალთა კავშირი. ქვეყნის მოწინავე მოღვაწენი თანდათან ამზადებდნენ ნიადაგს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის.

ბაატა სურგულაძე

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისაღები გამოცდების პროგრამა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში

**რას შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სასწავლო კურსი. რა არის სახელმწიფო, რა არის სამართალი. მათი წარმოშობის მიზეზები და მათი ისტორიული ბედი. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები.**

**სახელმწიფოს ფორმები. მონარქია და რესპუბლიკა. უნიტარული (მარტივი) და ფედერაციული (რთული) სახელმწიფოები. სახელმწიფოს ფუნქციები. სახელმწიფოს მექანიზმი. სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო მმართველობის, სამართალდაცვის ორგანოები. სამართლის ნორმები. სამართლის დარგები. სამართლის ფორმები (წყაროები). სამართლებრივი ურთიერთობა.**

## I. საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარება

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება და საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობა რუსეთში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და ქვეყნის ფაქტობრივი ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ეტაპები.

სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება და ჩამოყალიბების გზები.

## II. სამართალი და ზნეობა

სამართალი როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა.

სამართლის ნორმები. სამართლის ნორმების განსხვავება საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი სხვა სოციალური ნორმებისაგან (ზნეობა, ჩვეულება).

საბჭოთა სამართლის ფორმები (წყაროები), ნორმატიული აქტების ცნება. კანონი, როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

სამართლებრივი ურთიერთობანი საბჭოთა საზოგადოებაში. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები (სამართლის სუბიექტები). მათი უფლება-უნარიანობა და ქმედუნარიანობა. სამართლის სუბიექტის უფლება და მოვალეობა.

ზნეობა და სამართალი, ზნეობის ნორმები. მათი დამკვიდრება საზოგადოების წევრთა შეგნებაში, ქცევებსა და ურთიერთობაში. ზნეობის როლი სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფაში. სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფა სახელმწიფოს აღმზრდელობითი და იძულებითი ღონისძიებებით. სამართლებრივი აღზრდის შინაარსი და მნიშვნელობა. ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის ერთიანობა.

## III. კანონიერება და მართლწესრიგი

კანონიერების ცნება. მართლწესრიგის ცნება. კანონი და კანონმდებლობა.

კანონის გამოცემის წესი სსრ კავშირში. კანონების გამოცემა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ. სამართლის ცალკეული დარგების კანონმდებლობის საფუძვლები, კოდექსები და კანონთა კრებულები. მართლზომიერი ქცევა და სამართალდარღვევა. სამართალდარღვევათა სახეები. სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა. იურიდიული პასუხისმგებლობის სახეები, ბრალი, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველი. განზრახი და გაუფრთხილებელი ბრალი. კანონის უკუუქცევითი ძალა. უდანაშაულობის პრეზუმპცია.

## IV. სსრ კავშირის სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი

სახელმწიფო სამართალი როგორც საბჭოთა სამართლის დარგი. მისი წამყვანი ადგილი სამართლის სხვა დარგებს შორის.

კონსტიტუციის ცნება. პირველი საბჭოთა კონსტიტუცია — რსფსრ-ის 1918 წლის კონსტიტუცია. სსრ კავშირის 1924 წლის, 1936 წლისა და 1977 წლის კონსტიტუციები. 1988 წლისა და შემდგომი პერიოდის კანონები სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. კონსტიტუციის — სახელმწიფოს ძირითადი კანონის სტრუქტურა — პრეამბულა (შესავალი), კარები, თავები, მუხლები. საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუცია. მასში შეტანილი ცვლილებები და დამატებები.

## V. სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლები

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის არსი. ხალხის თვითმმართველობა. სახალხო დეპუტატთა საბჭოები — სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძველი. საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლი და ადგილი პოლიტიკურ სისტემაში. მრავალპარტიულობა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე პირობებში. საბჭოთა სახელმწიფო და საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შემადგენელი სხვა ელემენტები — პროფკავშირები, ახალგაზრდული, კოოპერაციული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები. შრომითი კოლექტივების როლი საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში.

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულება — დემოკრატიის შემდგომი განვითარების აუცილებლობა.

საბჭოთა ეკონომიკური სისტემა. საკუთრების ფორმები სსრ კავშირში. სსრ კავშირის კანონი საკუთრების შესახებ.

სსრ კავშირის სოციალური საფუძველი.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნები და პრინციპები.

## VI. სახელმწიფო და პიროვნება

სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობა.

მათი ურთიერთუფლებები და ურთიერთპასუხისმგებლობა.

საბჭოთა მოქალაქეობა. მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობა. სრულწლოვანების დადგომა. არასრულწლოვანის პასუხისმგებლობის ზრდა ასაკთან ერთად.

საბჭოთა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეთა თანასწორი უფლებები. სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების ცნებები.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები.

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.

პირადი უფლებები და თავისუფლებები.

მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენების დაუშვებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისა და სხვა მოქალაქეთა უფლებების საზიანოდ.

სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი მოვალეობანი.

## VII. სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილება

სსრ კავშირი როგორც ფედერაციული სახელმწიფო. მისი შექმნა და განვითარება. მოკავშირე რესპუბლიკები — საბჭოთა ფედერაციის წევრები. მოკავშირე რესპუბლიკებში შემავალი ავტონომიური ერთეულები. ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური ოკრუგი.

სსრ კავშირის გამგებლობისადმი, მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანიზაციის სახით, განკუთვნილი საკითხები.

მოკავშირე რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა. მისი რეალური სუვერენიტეტის უზრუნველყოფა, მისი ტერიტორია, მისი კონსტიტუცია, სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება.

საქართველოს სსრ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. მისი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ამოცანები.

ავტონომიური ერთეულების სამართლებრივი მდგომარეობა. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები საქართველოს სსრ შემადგენლობაში. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

## VIII. საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოთა სისტემა

სახალხო დეპუტატთა საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები. მათი სისტემა და საქმიანობის პრინციპები. სახალხო დეპუტატი — ხალხის წარმომადგენელი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში.

სახალხო დეპუტატთა არჩევნები. საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით. სახალხო დეპუტატთა არჩევნების ჩატარების წესი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი კანონების საფუძველზე.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. მისი შექმნის წესი, შემადგენლობა. მის განსაკუთრებულ გამგებლობაში შემავალი საკითხები.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივმოქმედი საკანონმდებლო და საკონტროლო ორგანო. მისი შექმნის წესი, შემადგენლობა, ორპალატიანი სისტემა. უფლებამოსილება. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რეგლამენტი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი — უზენაესი საბჭოსადმი ანგარიშვალდებული ორგანო. მისი შემადგენლობა, ფუნქციები.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. მისი უფლებამოსილებანი.

პრეზიდიუმი. მინისტრთა საბჭოს პალატების კომისიები და კომიტეტები. სსრ კავშირის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი. მისი შემადგენლობა, შექმნის წესი და უფლებამოსილება.

სსრ კავშირის პრეზიდენტი. მისი არჩევის წესი. მისი უფლებამოსილება. საპრეზიდენტო საბჭო. ფედერაციის საბჭო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — სსრ კავშირის მთავრობა. მისი შექმნის წესი და შემადგენლობა, მისი უფლებამოსილება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი. მინისტრთა საბჭოს აქტები.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები — ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები. კანონი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ.

## IX. საბჭოთა სახელმწიფოს სამართალდაცვის ორგანოები

საბჭოთა სახელმწიფოს სასამართლო ორგანოები. სსრ კავშირში მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ. ყველა სასამართლოს შექმნა მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე. სასამართლოებში საქმეთა განხილვა სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობა და მათი დამორჩილება მხოლოდ კანონისადმი. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის უფლება დაცვაზე. ადვოკატთა კოლეგიები. ყველა სასამართლოში საქმის ღიად გარჩევა, კანონით დადგენილი გამონაკლისები. ენა, რომელზეც მიმდინარეობს სამართალწარმოება. სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა. გადაწყვეტილება და განაჩენი, განჩინება. სსრკ კანონი სასამართლოს უპატივცემლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. სსრკ კანონი სამართლო წყობილების შესახებ.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები.

საბჭოთა პროკურატურა — კანონების ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობის ორგანო. პროკურატურის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. მისი დანიშვნის წესი.

შინაგან საქმეთა ორგანოები.

სახალხო კონტროლის ორგანოები საბჭოთა სახელმწიფოში.

## X. შრომის სამართალი

სსრ კავშირის კონსტიტუცია შრომის უფლებისა და შრომითი მოვალეობების შესახებ. შრომითი ხელშეკრულება. სამუშაოზე მიღების და გაფორმების წესი. სხვა სამუშაოზე გადაყვანა. სამუშაოდან დათხოვნის საფუძვლები და წესი. შრომის წიგნაკი, ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის თავისებურებანი. შრომის მორალური და მატერიალური სტიმულირება.

შრომის დისციპლინა. მუშათა და მოსამსახურეთა დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობა.

სამუშაო დრო და დასვენების დრო. მოზარდთა სამუშაო დრო. არასრულწლოვანთა შეღავათები. შეღავათები იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც სწავლას უთავსებენ შრომას.

შრომის დაცვა სსრ კავშირში. ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის დაცვა. შრომის ანაზღაურება.

## XI. სასოფლო-სამეურნეო სამართალი

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სამართლებრივი მდგომარეობა. შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება და დაცვა კოლმეურნეობაში. შრომის დისციპლინა კოლმეურნეობაში.

## XII. სამოქალაქო სამართალი

სამოქალაქო სამართლის ცნება. სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილენი. სამოქალაქო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. საკუთრების უფლება. სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებანი. სახელშეკრულებო ვალდებულებანი. ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებანი. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება.

## XIII. საოჯახო სამართალი

საბჭოთა საოჯახო სამართლის ამოცანები. ქორწინების წესი და პირობები. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობანი. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობა. მშობელთა უფლებანი, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა. შვილების მოვალეობანი.

## XIV. ადმინისტრაციული სამართალი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა). ადმინისტრაციული სახდელების სახეები. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წვრილმანი ხულიგნობისთვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წვრილმანი დატაცებისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებისათვის და ალკოჰოლიზმისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნადირობის წესების დარღვევისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ისტორიის და კულტურის ძეგლების დაცვის წესების დარღვევისათვის.

## XV. სისხლის სამართალი

დანაშაულის ცნება. პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. აუცილებელი მოგერიება და დამნაშავის შეპყრობა. უკიდურესი აუცილებლობა. ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. სასჯელი, მისი მიზნები. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღმზრდელობით-იძულებითი ღონისძიებების გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის. პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულისათვის. პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის. პასუხისმგებლობა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის. პასუხისმგებლობა იარაღის, საბრძოლო მასალებისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო ტარების, შენახვის, შეძენის, დამზადების ან გასაღებისათვის. ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან გასაღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განთავისუფლების ასოციაცია

# აცხადებს

მსმენელთა მიღებას მრავალდარგოვან კურსებზე ინტეგრალური მედიცინის განხრით სადაც ჩატარდება ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობანი: ბიოენერგოთერაპიაში, აუდიო-ვიზიოთერაპიაში, ძველი სტაძრო მედიცინის საფუძვლებში, წერტილოვან მასაჟში, ასტროლოგიურ მედიცინაში, ჰემეოპატიასა და ფიტოთერაპიაში.

მსმენელები მიიღებენ ინფორმაციას თვითრეგულაციის, მედიტაციური აზროვნების და გაჯანსაღების მეთოდების შესახებ, გაერკვევიან ექსტრასენსორული ეფექტების საიდუმლოებაში. კურსებს ხელმძღვანელობს გიორგი მეფისაშვილი.

ლექციები დაიწყება ამა წლის 4 ივნისს საღამოს 6 საათიდან. ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის გამზირი 52/54. ტელეფონი: 96-31-64, 96-70-40.

---

მ. კოსტავას სახელობის საქართველოს სადღეღმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი ახდენს იმ ოჯახების რეგისტრაციას, რომელთაც სურთ სოფლად დასახლება ან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. გთხოვთ გაეცნოთ ქვემოთმოყვანილ ანკეტას:

# ანკეტა

1. გვარი, სახელი მამის სახელი ..........
2. ოჯახის წევრების რაოდენობა .... და ასაკი ........
3. ოჯახის წევრების პროფესია ..........
4. ოჯახის საკუთრებაში არსებული მიწის ფართი (ჰა) .......
5. საცხოვრებელი სახლის ფართი (მ²) ..........
6. დასახლების სასურველი რაიონი ..........
7. მზად ვარ დავსახლდე ნებისმიერ რაიონში
8. დავსახლდები მხოლოდ ჩემს მიერ აღნიშნულ რაიონში
9. დავსახლდები შემოთავაზებულ პირობებიდან არჩევის უფლებით
10. სრული მისამართი, ტელეფონი: ..........
11. ხელის მოწერა ............

**შენიშვნა:** 7, 8, 9-დან ამოირჩიეთ ერთი და სათანადო ციფრი შემოხაზეთ

ანკეტა ამოჭერით, შეავსეთ და გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, 380046, გრიბოედოვის 19. მ. კოსტავას სახ. სადღეღმამულო ფონდი. კონვერტს დააწერეთ „ანკეტა".

---

# ახალი გზის დასაწყისი

თბილისის 140-ე საშუალო სკოლაში IV-ა და VI-ბ კლასში მოსწავლეებმა ამას წინათ გზა დაულოცეს მე-11 და 41-ე ბაღის აღზრდილებს, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან უკვე სკოლის მერხებს მიუსხდებიან.

ადრე მოგვიხდა სკოლაში მისვლა. IV კლასის ბავშვები რეპეტიციას გადიოდნენ. ისმოდა მათი წკრიალა ხმით ნამღერი.

დანიშნულ დროს კი ლამაზად გამოწყობილი ბაღის აღზრდილები ნათელი ღიმილით და უზარმაზარი თაიგულებით ესტუმრნენ სკოლას. უსაზღვრო იყო მათი სიხარული.

მეოთხე კლასელებმა პატარა მეგობრებს უსახსოვრეს წიგნები და შესანიშნავი ლექსებიც უძღვნეს, რომლებშიც ლურჯთვალა იაც ჩანდა და ზარმაცი გიგოც, სპეტაკი სახე იაკობისა და სწავლის წყურვილი, სამშობლოს სიყვარული და თავდადება. მერე კი გამოცანები უთხრეს და გასაოცარი ის იყო, რომ ბავშვებმა ყველა გამოიცნეს. დაჰბედებოდეთ პატარებს ეს წარმატება. მათ დიდი იმედი მოგვცეს. ჩანს სკოლაში დედა ენის სიყვარულით მოვიდნენ და წარჩინებითაც ისწავლიან...

სჯერა ქალბატონ იზოლდა ლაბარტყავას, IV-ა კლასის დამრიგებულს მათი ნათქვამი. იგი უკვე მეხუთე ნაკადს ულოცავს გზას. მისი ბავშვები კი ყოველთვის სანიმუშონი იყვნენ. აღმზრდელი მაშინ არის ბედნიერი, როცა მისი დაფრთიანებული ბავშვები კარგ საქმეს ეწევიან. იმ დღესაც ნამდვილად ბედნიერი იყო ქალბატონი იზოლდა. მას ხომ გარს ეხვია ათობით ჯანსაღი და გონიერი აღსაზრდელი.

უბრალო, მაგრამ საოცრად გულითადი იყო ქალბატონ ვენერა შაქუნაშვილის სურვილი: იგი IV-ბ კლასის დამრიგებელია: „გქონდეთ უღრუბლო ზეცა, ნასწავლნი, გონიერნი, ჯანსაღნი გაეზარდეთ საქართველოს".

სწავლაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში წარმატება უსურვეს ბავშვებს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ქალბატონმა ლია ექიზაშვილმა, პედაგოგმა ქეთინო დვალაძემ და 41-ე საბავშვო ბაღის მასწავლებელმა მარინე კაპანაძემ.

საზეიმო დილას „ახალი გზის დასაწყისი" უწოდეს მეოთხე კლასელებმა, იმიტომ რომ ბაღის ბავშვები მომავალი პირველი კლასელები არიან, ხოლო IV კლასელები მე-5-ში გადადიან.

**ლელა ჩოლიკაშვილი,**
**თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.**

---

# განცხადება

1. საქველმოქმედო ფირმა „ჰუმანიზმის" ბაზაზე გაიხსნა ქართული ეროვნული ცეკვის შემსწავლელი კურსები დიდებისათვის. შემსწავლელ კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის 18-დან 45 წლამდე ასაკის მსურველები, მსურველების მიღება-რეგისტრაცია იწარმოებს ყოველდღე, კვირის გარდა 17 საათიდან 20 საათამდე. მისამართი: კალინინის ქ. № 88, სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი, ტელ. 51-45-12, 9.00-23.00 საათამდე.

2. ივნისს საქველმოქმედო ფირმა „ჰუმანიზმი" აწყობს ბუკინისტური ანტიკვარული იშვიათი და მაღალი მოთხოვნილების წიგნების აუქციონს, რომელიც გაიმართება ვაჭრობის კულტურის მუშაკთა სახლში. მისამართი: ზაქარია ჩოდრიშვილის 8, შესასვლელი დავით აღმაშენებლის 106-დან. დასაწყისი 11 საათზე. აუქციონზე წარმოდგენილი წიგნების წინასწარი გამოფენა გაიმართება 1 ივნისს ამავე სახლის ფოიეში. გამოფენა იმუშავებს 11 საათიდან 18 საათამდე. ტელ. 51-45-12.



# ლატარია—სპორტპროგნოზი „იტალია-90"

**ლატარია** „იტალია 90"-ის ბილეთის მფლობელმა ბილეთზე აღნიშნული წესის მიხედვით უნდა შეავსოს „ა", „ბ", და „გ" ნაწილები (იდენტურად).

„ა" ნაწილს ბილეთის მფლობელი ჰკრის გადაჰკრის აღმნიშვნელ ხაზზე და იტოვებს შედეგების შესამოწმებლად, გამარჯვების შემთხვევაში კი მოგების მიღების საბუთად. ბილეთის „ბ" და „გ" ნაწილების ჩაბარების უკანასკნელი ვადაა 1990 წლის 31 მაისი.

ბილეთის „ა", „ბ", და „გ" ნაწილები დაყოფილია 5 თანრიგად.

ლატარია „იტალია-90"-ის მოგების ფონდი შეადგენს ბილეთების რეალიზაციით მიღებული თანხის 50 პროცენტს.

თითოეულ თანრიგზე მოგება შეადგენს მოგების ფონდის 10 პროცენტს. მომგებიანი იქნება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილი იქნება ერთი ან რამდენიმე თანრიგი ერთდროულად. თითოეულ თანრიგზე მოგების ოდენობა განისაზღვრება მოცემული თანრიგის მოგების (მოგების ფონდის 10 პროცენტის) შეფარდებით ამ თანრიგის სწორად გამოცნობილი ბილეთების რაოდენობასთან. სპორტპროგნოზის იმ ბილეთებზე, რომლებშიც სწორად იქნება გამოცნობილი რამდენიმე თანრიგი, მოგების ოდენობა განისაზღვრება თითოეულ თანრიგზე მოგებული თანხის შეჯამებით.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანრიგი არ იქნება სწორად გამოცნობილი არც ერთი ბილეთის მფლობელის მიერ, მიცემული თანრიგის საერთო მოგება გადანაწილდება სხვა თანრიგებზე.

სპორტპროგნოზის გარდა, ბილეთი მონაწილეობს ლატარიის ტირაჟში (ბილეთის სერიისა და ნომრის მიხედვით), რომელიც ჩატარდება 1990 წლის 5 ივნისს ქ. მცხეთაში. ლატარიაში გათამაშებული იქნება მსუბუქი ავტომანქანები, ვიდეომაგნიტოფონები და 60 საგზური საზღვარგარეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ.

ლატარია „იტალია—90"-ის ბილეთები შეგიძლიათ შეიძინოთ ქ. თბილისში, რუსთაველის, მშვიდობის, მეგობრობის, წერეთლის, ჭავჭავაძის გამზირებზე; ლენინის, გმირთა, კ. მარქსის მოედნებზე; პავლოვის, საბჭოს, ოქტომბრის, ვაჟაფშაველას, მელიქიშვილის, ანაგის, აღმაშენებლის, თამარ მეფის, მაგნიტოგორსკის ქუჩებზე; ტექნიკურ უნივერსიტეტთან მდებარე სპეციალურ ჯიხურში; ქ. ქუთაისში და თელავში მდებარე სპეციალურ ჯიხურებში, ზესტაფონის, ფოთის, ბათუმის, ზუგდიდის, სამტრედიის, ოზურგეთის, სენაკის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, რუსთავის, ხობის, საგარეჯოს, შემნახველ ბანკებში და „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში.

„ბ" და „გ" ნაწილების ჩაბარება ხდება ყველგან, სადაც მიმდინარეობს ბილეთების რეალიზაცია.

ბილეთების გაყიდვის, „ბ" და „გ" ნაწილების უკან ჩაბარების ბოლო ვადაა 31 მაისი.

იჩქარეთ შეიძინოთ ლატარია-სპორტპროგნოზი „იტალია—90"-ის ბილეთები!

---




მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

# ეგვიპტე

ფეხბურთი ეგვიპტეში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული თამაშია. იგი ჯერ კიდევ საუკუნის მიწურულში დაინერგა ინგლისელების გავლენით. წლების განმავლობაში ამ ქვეყანაში უამრავი ინგლისელი სპეციალისტი მუშაობდა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კი არაერთი იუგოსლაველი, ჩეხოსლოვაკიელი და საბჭოთა მწვრთნელიც.

თუმცა ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაცია 1921 წელს შეიქმნა (ორი წლის შემდეგ იგი ფიფას წევრიც გახდა), ეგვიპტელებმა მონაწილეობა თავიანთ პირველ ოფიციალურ ტურნირში უფრო ადრე, 1920 წელს მიიღეს, ეს იყო ოლიმპიური ასპარეზობა. ორჯერ, 1928 და 1964 წელს ეგვიპტელებმა ოლიმპიადებზე ფრიად საპატიო მეოთხე ადგილიც კი მოიპოვეს. 1934 წელს ისინი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც მონაწილეობდნენ.

დღეისათვის ეგვიპტეში 175 კლუბია. აქედან ორი პროფესიონალური: „ზამალეკი" და „ნასიონალი". 12 ათასი აღრიცხული მოთამაშე, რაც თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ყოველ 3750 მცხოვრებზე, ერთი ფეხბურთელი მოდის. ეგვიპტელები სისტემატურად მონაწილეობენ აფრიკის ჩემპიონატებში, რომლებიც ადრე დროგამოშვებით ეწყობოდა, ახლა კი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. აქ ეგვიპტელებმა გაიმარჯვეს 1975, 1959, 1986 წლებში და საერთოდ, ყოველთვის მიეკუთვნებოდნენ წამყვანთა რიცხვს აფრიკაში.

მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშები აფრიკის ქვეყნებისათვის, როგორც ცნობილია, მრავალსაფეხურიანი სისტემით მიმდინარეობს. 1990 წლის ჩემპიონატისათვის შესარჩევ ტურნირში ეგვიპტელები პირველ წრიდან გაანთავისუფლეს. მეორე წრეში მათ უპირატესობა გამოავლინეს ლიბერიელებთან (2:0, 0:1), მალავის ნაკრებთან (1:0, 1:1) და კენიელებთან (2:0, 0:0) შეხვედრებში. წინ იყო მესამე გადამწყვეტი წრე, სადაც ეგვიპტელებს ალჟირელებთან ორი მატჩი ელოდა, და, წარმატების შემთხვევაში, იტალიის საგზურებიც.

დადგა ალჟირელებთან გადამწყვეტი შეხვედრების დროც. უკვე პირველმა მატჩმა ალჟირში (0:0), ეგვიპტელებს დიდი იმედები ჩაუსახა. მეორე შეხვედრას ქაიროს ნასერის სახელობის სტადიონზე 120 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მილიონობით გულშემატკივარი კი ისე განიცდიდა, როგორც არასოდეს. ეგვიპტელებმა გაიმარჯვეს 1:0.

„ეს გახლავთ პასუხი ჩვენს 55-წლიან ოცნებაზე"! — პათეტიკურად განაცხადა ეგვიპტის ტელევიზიის კომენტატორმა ფაიაზ ცომორმა. ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაკი ათასობით მილოცვას იღებდა. მან განაცხადა, ეგვიპტის მთავრობა ყოველგვარ ღონეს იხმარდა, რათა ეგვიპტის ნაკრებს მომზადებისთვის ყოველგვარი პირობა ჰქონოდა. ეჭვგარეშეა, ეს ასეც იქნებოდა, მაგრამ ეგვიპტის ხელისუფლებას დაასწრო 20-იანი წლებიდან ლონდონში მცხოვრებმა ეგვიპტელმა მილიონერმა აჰმედ ელ-მუკადამმა. მან განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე ნაკრებს ყოველგვარ ხარჯს აუნაზღაურებს. „ჩვენებს ისეთივე კარგი შესაძლებლობები უნდა შევუქმნათ, როგორიც ევროპის წამყვან კოლექტივს აქვს" — განუცხადა მილიონერმა ეგვიპტელ ჟურნალისტებს.

დღეისათვის მიჩნეულია, რომ ელ გოჰარიმ საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჩამოაყალიბა, რომელმაც იტალიაში თავი არ უნდა შეირცხვინოს. ის შემადგენლობა, რომელიც შესარჩევ მატჩებში მონაწილეობდა, რამდენადმე გადაისინჯა. ძირითადი მეკარეა შუბეირი (29 წლის, ქაიროს „ნასიონალი"), მეორე მეკარე ელ-ბატაი (33 წლის, ქაიროს „ზამალეკი"). დაცვაში თამაშობენ ი. ჰასანი (23, „ნასიონალი"), ჰ. რამზი (26, „ზამალეკი"), იაკენი (30, „ზამალეკი"), იასინი (28 „ნასიონალი"), აბდონი (24, „ზამალეკი", გჰანი (23, „ნასიონალი"), იაკემი (26, „ნასიონალი"). შუა ხაზზე გამოდიან ელ კასი (28, „ნასიონალი"), ჰამიდი (30, „ზამელეკი"), ა. რამზი (23, „ზამალეკი"), შავკი (24, „ზამალეკი") ჰამიდი (32, „ბეირა მარი"), იასინი (26, „ნასიონალი"). ჰ. ჰასანი (23, „ნასიონალი"), რაგადი (24, „ზამალეკი"), ჰაფეზი (23, „ზამალეკი"), სულეიმანი (28, „ზამალეკი").

რის იმედი უნდა ჰქონდეთ ეგვიპტელებს ისეთ მეტოქეებთან შეხვედრებში, როგორიც ინგლისის, ჰოლანდიისა და ირლანდიის ნაკრებებია? გასაგებია, რომ ამ გუნდების ხელმძღვანელები ეგვიპტელებს ნამდვილ აუტსაიდერებად თვლიან. ელ გოჰარი ცოტა განსხვავებული აზრისაა. მან განაცხადა, რომ როგორც ინგლისელებს, ისე ჰოლანდიელებისა და ირლანდიელების თამაშში პატარ-პატარა სისუსტეებს „მიაგნო", რომელთა გამოყენებას შეეცდება კიდეც.

**გივი გამრეკელი**

---

რედაქტორი
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, „კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.

უე 00288